პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 224 (13040) | ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

უპატაკებენ სამშობლოს

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შედეგად, — გვწერენ საბარეჯოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. საბაშვილი და სამმართველოს უფროსი აჩელაშვილი, — 20 სექტემბრისათვის რაიონში თივის დამზადების გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით. გათიბულია 6.595 ჰექტარი ნაცვლად 5.477 ჰექტარისა. აბრეშუმის პარკი დამზადებულია 117 ცენტნერი ნაცვლად 116 ცენტნერისა. 678 პროცენტით არის შესრულებული გარეული ხილის დამზადების გეგმა. ბალჩეული დამზადებულია 4.320 ცენტნერი ნაცვლად 4.300 ცენტნერისა.

საჩხერის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ბრეგვაძემ ტელეფონით გვაცნობა: რაიონის მშრომელებმა 20 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულეს, რძისა — 107,5, კვერცხისა — 108,6 პროცენტით. 23 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 865 ტონა კურკოვანი ხილი; ნაცვლად 860 ტონისა. გარეული ხილის დამზადების გეგმა შესრულებულია 160,7 პროცენტით.

მეჩაიეებო, წინ — ახალი ზღუდეებისკენ!

ბაზეთებმა, რადიომ, ტელევიზიამ რესპუბლიკის მშრომელებს სასიხარულო ცნობა აუწყეს. ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა სასახელო გამარჯვებას მიაღწიეს. გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ნაცვლად 175 ათასი ტონისა მრეწველობას ჩაბარდა 176.592 ტონა ჩაის ნედლეული. პირველი ზღუდე აღებულია! ეს გამარჯვება ამინდის არახელსაყრელ პირობებში ენერგიული შრომით არის მოპოვებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შესახებ საქმით ანადგურებენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, ზუგდიდის, ცხაკაიას, წყალტუბოს, გეგეჭკორის, წულუკიძისა და სხვა საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამ საქმეში თავიანთი პატრიოტული სიტყვა თქვეს ჩაის ფრონტის მუშაკებმა — პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სპეციალისტებმა, მეჩაიეებმა.

მეჩაიეებმა ამ დიდ წარმატებას მიაღწიეს საქმის სიყვარულით, შრომით და მხოლოდ შრომით, მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და შუკურების მდიდარი გამოცდილების პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვით. ავიღოთ თუნდაც ქობულეთის საწარმოო სამმართველო. აქ ყოველწლიურად იღებენ ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალს. წარმატებას აგროტექნიკური წესების ზუსტად დაცვით, ქიმიური ცოდნის გამოყენებით მიაღწიეს. 4.922 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ჯერ კიდევ პირველი აპრილისათვის დაამთავრეს მინერალური სასუქების შეტანა. ეს სამუშაოები შეასრულეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ დადგენილი წესებისა და მეთოდების ზუსტად დაცვით.

წყალტუბოელი მეჩაიეები ამ უკანასკნელ წლებში წარმატებას წარმატებაზე აღწევენ, ზრდიან მოსავლიანობას. ამას მიაღწიეს შრომის სწორი ორგანიზაციით, სპეციალიზაციითა და რწყვით. იქ, სადაც დაწვიმებით რწყავს აწარმოებდნენ, ჩაის ფოთლის მოსავლიანობა წელს 30 პროცენტით გაიზარდა. ასეთი მაგალითების მოყვანა ზუგდიდის, ცხაკაიას, ოჩამჩირისა და სხვა საწარმოო სამმართველოებიდანაც შეიძლება.

ჩაის ფრონტის მუშაკთა ამ გამარჯვებაში ყველა მეჩაიეს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი რომ გაეკეთებინა, ცოდნა და უნარი რომ ჩაექსოვა, მდგომარეობა კიდევ უკეთესი იქნებოდა. მახარაძის საწარმოო სამმართველოში, როცა ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი დღეები იყო, გვალვა დადგა, და, ცხადია, ამან მოსავლიანობაზე უარყოფითად იმოქმედა. აი სწორედ აქ უნდა გამოეყენებინათ მახარაძელ მეჩაიეებს ქიმია, რწყვა, მოწინავეთა გამოცდილება, და მაშინ ბუნებისაგან მიიღებდნენ იმის მაქსიმუმს, რის მოცემაც მას შეეძლო. ვფიქრობთ, მახარაძელები ენერგიის დაძაბვით იმუშავებენ და დარჩენილ დროში შეასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის წლიურ გეგმას.

მართალია, შარშანწინ, შარშან, წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა ზედიზედ გაიმარჯვეს, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება მაინც არ შეიძლება. წინ ახალი, ახალი ზღუდეებია. აუცილებლად უნდა დავიპყროთ იგი. ამ საქმეში უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი, ის დიდი რეზერვები, რომლებიც მეჩაიეობის რაიონებს აქვთ. პირველ რიგში უნდა ვეცადოთ ჩაის პლანტაციებში აღმოვფხვრათ სიმეჩხრე და ამით გავადიდოთ მოსავლიანობა, ეს კი საშუალებას მოგვცემს უფრო ინტენსიურად წარვმართოთ ჩაის მეურნეობა.

რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონებს მეტად საპატიო დავალება აქვთ. წელს უნდა გაშენდეს 3.770 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები. აქედან აფხაზეთის ასსრ-ში 2.260 ჰექტარი, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში — 563 ჰექტარი, გეგეჭკორისაში — 290 ჰექტარი, ცხაკაიისაში — 247 ჰექტარი. ჯერჯერობით ახალი პლანტაციები რესპუბლიკაში 600-მდე ჰექტარზეა გაშენებული. მალე დაიწყება ჩაის პლანტაციების გაშენება. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ გეგმა აუცილებლად შესრულდეს.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი იწყება, მაგრამ მეჩაიეებს ახალი საზრუნავი აქვთ. ეს არის შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები, რომლებიც აგროვადებში და მაღალხარისხოვნად უნდა შესრულდეს. ვინც მტკიცედ დაიცავს აგროწესებს, ვინც მაღალხარისხოვნად შეასრულებს ჩაის პლანტაციებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოებს, ის მომავალ წელს, შვიდწლედის უკანასკნელ წელს აუცილებლად ახალ დიდ გამარჯვებას მოიპოვებს, ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს მიიღებს.

ჩაის ფრონტის მუშაკებო, ჩვენო სახელოვანო მეჩაიეებო! თქვენი მადლიანი მარჯვენით, გარჯით, ცოდნით, შემართებით მოიპოვეთ გამარჯვება, აიღეთ პირველი ზღუდე. მაგრამ სამშობლო უფრო მეტს მოელის თქვენგან. მოელის იმას, რომ ასევე წარმატებით აიღებთ ახალ ზღუდეებს, გეგმასთან ერთად შეასრულებთ ნაკისრ ვალდებულებასაც.

მეჩაიეთა ღირსების, სახელისა და დიდების საქმეა ყოველთვის მალა ეჭიროთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა. ამ ნაცადი მეთოდით ჩვენი რესპუბლიკის „მწვანე ოქროს“ ოსტატები მიაღწევენ იმას, რომ ნაკისრი ვალდებულება უთუოდ შესრულდეს ყველა საწარმოო სამმართველოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადაში, რგოლში.

ჩაის ფრონტის გმირებო! სექტემბრის დარჩენილ დღეებში ერთხელ კიდევ დაეძებოთ ჩვენი ძალღონე, მოვიშველიოთ მრავალი წლის მანძილზე შეძენილი მდიდარი გამოცდილება, ვკრიფოთ ჩაის ფოთოლი ყოველგვარ ამინდში, მოუკრეფავი არ დავტოვოთ არც ერთი შემოსული დუღი და მივაღწიოთ იმას, რომ სეზონის ბოლოს აუცილებლად შესრულდეს ნაკისრი ვალდებულება. ახალი გამარჯვებებით შეეგებოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47-ე წლისთავს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმს.

საოქტომბრო ვახტაზე

ერთვნული ბიბლიოთეკა

მეფეხსაცმელეთა წარმატება

სოხუმი. ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა წარმატებით განაღოდა საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება და გეგმის გადამეტებით 16 ათასი წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა.

წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც საამქროთა შორის გაიმართა, განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი შემკერავი საამქრო (უფროსი მ. ლეონიაშვილი), რომელმაც გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა.

ე. ხოვალკინა,

სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის ინჟინერი.

ვალდებულება განაღდებულია

ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში ახალი შრომითი ამაგავლობაა თბილისის ქაღალდის ფაბრიკაში. საწარმომ საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება 103,4 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 40 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მომმზარეველს დამატებით გაეგზავნა 123 ტონა ქაღალდი და 114 ტონა მუყაო. ამავე დროის მანძილზე შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 3,4 პროცენტით ამაღლდა. დაზოგილია 21.106 მანეთის ნედლეული.

ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში ოქტომბრის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჯერ კიდევ გასულ თვეს იკისრეს ცხრა თვის გეგმის გადამეტებით გამოეშვათ 20 ტონა ქაღალდი და 14 ტონა მუყაო. ეს ვალდებულება განაღდებულია.

შრომაში დაწინაურდა ქაღალდის საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც გ. გუნანოვი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით 25 ტონა ქაღალდი გამოუშვა.

102 ვაგონი კონსერვი

ბორი. საკონსერვო ქარხანამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხესა და საზღვარგარეთ ქალაქში მარტო აგვისტოსა და სექტემბრის პირველ ხახვეარში გაგზავნა 102 ვაგონი ახალი მოსავლის კონსერვი.

სახალინში გაგზავნილია 12 ვაგონი კონსერვი, ქალაქებში კემეროვოში — 18, ვოლგოგრადში — 4, ეოლგოგრადში — 4, ურალსკში — 18 ვაგონი.

ლ. იასამანოვი.

მეჯალურგთა სიჯყვა

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ეროხელ კიდევ გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა ახალი წარმატებით შეხვდეს დღესასწაულს — 103 პროცენტით შეასრულოს ოქტომბრის საწარმოო გეგმა.

რუსთაველთა მტკიცე გადწყვეტილებაა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით შვიდწლედის ეკონომიურ ფონდში შეიტანონ 150.000 მანეთი, ხოლო შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაზარდონ 1,5 პროცენტით.

არის ზეგეგზითი დაგროვება

ახალი სამეურნეო წელი თავიდანვე გამართულად დაიწყეს თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში (დირექტორი ა. ანტონოვა). რვა თვის მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, რომ ფაბრიკის კოლექტივი არა მარტო გეგმის შესრულებისათვის იბრძვის, არამედ მონდომებით შრომობს ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლადაც. განვლილ რვა თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას 8 პროცენტით გადაჭარბეს და გადამეტებით გამოუშვეს 88 ათასი მანეთის პროდუქცია. გეგმით ნავარაუდევი 96 კაბიკის ნაცვლად ერთი მანეთის ღირებულების პროდუქციის შექმნაზე დახარჯულია 92,6 კაბიკი.

ემზადება რა ოქტომბრის დიდი დღესასწაულის შესახვედრად, ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ცხრა თვის დავალება 25 სექტემბრისათვის შესრულოს.

კომკავშირელი ნუნუ ელიავა სასახელოდ შრომობს მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ ცხემლისხიდის კოლმეურნეობაში. მან მოსავლელად მიჩენილი 0,4 ჰექტარი პლანტაცია წელს საგულდაგულოდ დაამუშავა. დროზე შეიტანა ნაკვეთში სასუქები. ბუჩქებმა უხვად აუნაზღაურა გაწეული შრომა.

გეგმით ამ ნაკვეთიდან 2.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთლის მიღება არ იყო გათვალისწინებული. მაგრამ საკრეფი ფოთოლი მოზღვავდა. ნუნუმ ყოველდღიური, განუწყვეტელი კრეფით დიდი წარმატება მოიპოვა. უკვე მოკრიფა 3.600 კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო“, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 8.000 კილოგრამს აღემატება.

წარჩინებული მეჩაიე კვლავ განაგრძობს ჩაის ფოთლის კრეფას და მოპოვებული წარმატებით სოფლის მშრომელთა ქება დაიმსახურა.

* * *

სურათზე: მოწინავე მეჩაიე ნუნუ ელიავა.

ფოტო ი. შაქარიშვილისა.

პრემიერ-მინისტრი ალი საბრი მოსკოვიდან გაემგზავრა

მოსკოვი, 23 სექტემბერი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალი საბრი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, და მისი თანმხლები პირები — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეები დღეს მოსკოვიდან პრაღაში გაემგზავრნენ.

ვნუკოვოს აეროდრომზე მეგობარი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სხვა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, აგრეთვე მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებმა, დიპლომატიური კორპუსის წევრებმა.

აეროდრომზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ალი საბრიმ სიტყვები წარმოთქვეს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები ეწვივნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს

საბჭოთა ადამიანები დიდად დამწუხრებული არიან იმის გამო, რომ გარდაიცვალა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ოტო გროტეოლი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს შენობაზე დაბრილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამგლოვიარო ლენტი. ნი სახელმწიფო ალამი. 23 სექტემბრის 12 საათსა და 40 წუთზე საელჩოს ეწვივნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომაროვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მათ დიდი სამძიმარი განუცხადეს ელჩს რუდოლფ დელინგს მძიმე დანაკლისის გამო, რაც განიცადეს გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობამ, მთელი გერმანიის მშრომელებმა.

მწუხარე დუმილით იდგნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები რამდენიმე წუთს გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის ამხანაგ ოტო გროტეოლის პორტრეტთან. შემდეგ კი ხელი მოაწერეს სამგლოვიარო წიგნში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს სამძიმარი უთხრეს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ი. ვ. სპირიდონოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა.

23 სექტემბერს, ამხანაგ ოტო გროტეოლის დაკრძალვის დღეს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი დელეგაცია, აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული მთელი რიგ დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები. (საკდესი).

სუმის მსვნელ-მთესველთა წარმატება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება გაუგზავნეს უკრაინის კომპარტიის სუმის სასოფლო საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს, სუმის ოლქის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

მისალმებაში ნათქვამია, რომ ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 18 მილიონ 600 ათასი ფუთი პური ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 მილიონი ფუთისა და ვალდებულება აიკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ გეგმის გადაჭარბებით 4 მილიონი ფუთი მარცვალი.

დიდება მაღაროელთა შრომას

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა დონეცკის სახალხო მეურნეობის საბჭოს კუზბასის ქვანახშირის ტრესტის „ოქტომბრის“ შახტის № 3 უბნის კოლექტივს თვალსაჩინო შრომითი გამარჯვება ვიწრო გატანის კომბაინით 85170 ტონა ქვანახშირის მოპოვება თვეში. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოწონავე კოლექტივს ახალი წარმატებანი უსურვა შრომაში. (საკდესი).

გულთბილი მილოცვები

ეროვნული დღესასწაულის — მალის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მეოთხე წლისთავის გამო. ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ი. მიკოიანმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს მალის სახელმწიფოს მეთაურს, მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ მოდიბო კეიტას. საბჭოთა ხალხის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მთავრობისა და პირადად თავიანთი სახელით ისინი მოდიბო კეიტას, მთავრობას და მალის მეგობარ ხალხს გულთბილად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ. (საკდესი).

გერლინში

ბერლინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, დღეს უწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით დ. ს. პოლიანსკიმ დიდი სამძიმარი განუცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს მ. ზურბიის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის ოტო გროტეოლის გარდაცვალების გამო.

ერთობლივი კომუნიკე

პრემიერ-მინისტრის ალი საბრის ყოფნის შესახებ საბჭოთა კავშირში

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1964 წლის 15-დან 23 სექტემბრამდე სსრ კავშირში მეგობრულ ვიზიტად იყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალი საბრი და მისი თანმხლები პირები.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს, ნათქვამია ერთობლივ კომუნიკეში, საპატიო სტუმარსა და მის თანმხლებ პირებს გაეწიათ გულითადი მასპინძლობა, რაც მოწმობს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ გრძნობებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხისადმი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალი საბრი შეხვდა და ესაუბრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. მან ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის ძმური წერილი. პრემიერ-მინისტრი ალი საბრი შეხვდა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიკოიანს.

ამ შეხვედრებმა და საუბრებმა ჩაიარა მეგობრობის, გულახდილობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. გამართული მოლაპარაკების დროს საბჭოთა მთავრობის მეთაურმა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა განიხილეს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ დაადასტურა თავისი პოზიციები უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია 1964 წლის 24 მაისის ერთობლივ განცხადებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მოლაპარაკების შესახებ.

მათ გამოთქვეს მტკიცე მისწრაფება განაგრძონ მეცადინეობა საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვისა და განმტკიცების მიზნით, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განუხრელად დაცვის მიზნით მიუხედავად მათი სოციალური და საზოგადოებრივი წყობილებისა.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ კვიპროსის და კვიპროსის გამო მომხდარი უკანასკნელი ამბები საფრთხეს უქმნის კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა უშიშროებას. საბჭოთა კავშირი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დადებითად ეკიდებიან კვიპროსის მთავრობისა და პრეზიდენტ მაკარიოსის განცხადებებს, რომლებშიც გადაჭრით გმობენ კვიპროსის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ლიკვიდაციის გეგმებს, კუნძულზე ნატოს სამხედრო ბაზების განლაგებასა და კვიპროსის ფაქტიურ დანაწილებას. მათ მიაჩნიათ, რომ ბერძენ და თურქ კვიპროსელებს უნდა მიეცეთ საშუალება ერთმანეთს მოურიგდნენ მშვიდობიანი გზით ისე, რომ არ მოხდეს რამე ჩარევა გარედან.

ორივე მხარემ გამოთქვა შეშფოთება საქმის ვითარების გამო კონგოში და მტკიცედ დაგმო აგრესიული ძალების ჩარევა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში.

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აფრიკის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კაიროს მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია აფრიკის ქვეყნების ერთობისა და შეკავშირების განმტკიცება იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა მთავრობა მიესალმება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერისა და სხვა არაბული ქვეყნების მეთაურების მეცადინეობას, რომლებმაც უზრუნველყვეს ის, რომ არაბეთის სახელმწიფოთა მეთაურების მეორე თათბირზე ალექსანდრიაში მიიღეს გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობენ არაბული ქვეყნების სოლიდარობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებას, აძლიერებენ მათს ბრძოლას აღმოსავლეთში კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციისათვის, მშვიდობის საქმისათვის. საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირა არაბული ქვეყნების პოზიციას მდინარე იორდანის წყლების გამოყენების შესახებ.

სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის საკითხთა განხილვის დროს მხარეებმა დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან მის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კრედიტის აბგარაში საბჭოთა კავშირი ხელს შეუწყობს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ეროვნული ეკონომიკის შემდგომი განვითარების დარგში.

მოლაპარაკების შედეგად დაიდო შეთანხმებანი, რომელთა მიხედვით საბჭოთა კავშირი ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას მეტალურგიული, მანქანათმშენებელი მრეწველობის საწარმოთა მშენებლობაში, ენერგეტიკის განვითარებაში, სხვა ობიექტების გაფართოებასა და მშენებლობაში, სასწავლო ცენტრების ორგანიზაციაში, რომელთა მიზანი იქნება ეროვნული კადრების მომზადება მრეწველობის სხვადასხვა დარგში სამუშაოდ. აგრეთვე ეგვიპტელ სპეციალისტთა სწავლებაში როგორც საბჭოთა კავშირის საწარმოებში, ისე საწარმოთა მშენებლობის ადგილზე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებებს ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ალი საბრიმ.

მოლაპარაკების პროცესში პრემიერ-მინისტრმა ალი საბრიმ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სახელით თხოვნით მიმართა საბჭოთა მთავრობას ეკონომიური და ტექნიკური დახმარება გაუწიოს ირიგაციასა და უდაბური მიწების ათვისებაში ლიბიის უდაბნოს დელტისპირა ნაწილში.

საბჭოთა მხარე გაგებით მოეკიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის განზრახვას, რომ ითვისოს ახალი მიწები და შექმნას იქ მსხვილი მექანიზებული თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სურვილი და განუცხადა, რომ თანხმაა ეკონომიური და ტექნიკური დახმარება გაუწიოს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას უდაბური მიწების ათვისებაში და ნაწილ-ნაწილ დაიფარვინოს ხარჯები, რასაც ამასთან დაკავშირებით გასწევენ საბჭოთა ორგანიზაციები. ტექნიკური დახმარების მოცულობა დადგენილია შესაბამისი შეთანხმებით.

ორივე მხარემ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ალი საბრის ვიზიტი საბჭოთა კავშირში დიდ მნიშვნელოვანი ფაქტორია საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. (საკდესი).

პრემიები ღირსეულთ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

1964 წლის მეორე კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ბორის ბამბეულის კომბინატის, რუსთავის ცემენტის ქარხნის, თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კოლექტივებმა. მათ მიეკუთვნათ პირველი ფულადი პრემიები.

პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების საუკეთესო რაციონალიზატორები. მათ შორის არიან რუსთავის ქიმიური კომბინატის საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი ბ. ბასილაია, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ლითონით დაფარვის საამქროს უფროსი ვ. პოპიაშვილი, აღინიშნა აგრეთვე მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის სამმართველოს საწარმოების სპეციალისტებისა და მუშების — კ. საათაშვილის, ა. მაზიაშვილის, ე. მორროსის, გ. მაჩაბლისა, ა. იგნატოვის, ა. ეჯუბოვის, ა. გრინბერგის, დ. თოთლაძის, მ. დელარზონის, მ. საბანეევის მუშაობა;

მეორე ფულადი პრემიები მიეკუთვნათ ტორის ხელსაწყოების ქარხნის ზეინკლებს ვ. გელაშვილსა და ბ. კტრიუშინს, თბილისის ქალაქის რძის კომბინატის მთავარ მექანიკოსს ა. სეანიძეს, რუსთავის ქიმიური კომბინატის უფროსსა და ტექნიკურ ხელმძღვანელს ვ. ბახტაძესა და ტ. კარდანახიშვილს, თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ინნის“ მთავარ მექანიკოსს ლ. კაზაროვს, თბილისის კაშეოლ-მაუდის კომბინატის ოსტატებ თანაშემწეებს ვ. თევდორაძესა და შ. მაღულარიას, კასპის ცემენტის ქარხნის მექანიკოსს პ. ველიჩკოს

პარტიული ცხოვრება

გვწერენ ჩვენი კორესპონდენტები

კომუნისტები ფოლადისათვის ბრძოლაში

მეფოლადეთა ბრიგადის ხელმძღვანელი კომუნისტი დ. გოგოლაშვილი ამ დღეს ჩვეულებისამებრ ნახევარი საათით ადრე გამოცხადდა სამუშაოდ... მან ერთხელ კიდევ შეავლო თვალი იქვე ღუმელის მახლობლად გაკრულ განცხადებას, რომელიც პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების დანიშვნას იუწყებოდა. აღარ დააყოვნა, თავისი ხელმძღვანელობები გ. კაზაროვი და ს. მაისურაძე მიიხმო და უთხრა:

— ხომ იცით, ბიჭებო, დღეევანდელი ნადნობი ჩქაროსნული უნდა იყოს!

— იქნება!—იყო მეფოლადეთა პასუხი.

ცვლის მუშაობა რომ დამთავრდა, იქვე ჩამოსხდნენ, ქაღალდზე პატარა არითმეტიკული გაანგარიშება გაკეთეს:

— გეგმის გადამეტებით გამოდნობილია 23 ტონა.

— დნობის ხანგრძლივობა ნორმის მიხედვით შეადგენს 8 საათს, ფაქტიურად დახარჯულია 6 საათი და 45 წუთი.

ეს იყო კომუნისტ დ. გოგოლაშვილისა და მის თანამოსაქმეთა პატაკი, რომელიც მათ საანგარიშო-საარჩევნო კრებას მიუძღვნეს.

222 კომუნისტს აერთიანებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პარტიული ორგანიზაცია. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობაში როდია. კომუნისტები, რომლებიც წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ, ავანგარდში არიან, მაგალითს უჩვენებენ შრომითელთა ფართო მასებს. მშრომელთა შეგნებულობის დონის ამაღლებას, საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებას ხელს უწყობს კარგად მოწყობილი პოლიტიკური მუშაობა. პარტიული ორგანიზაცია ფართოდ იყენებს მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედების ბევრ ნაკად საშუალებას.

სწორედ ამის შესახებ და მომავლის პერსპექტივებზე იყო ლაპარაკი საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

პარტბიუროს მდივანმა გ. ქაშაკაშვილმა, რომელიც საანგარიშო მოხსენებლად გამოვიდა, კომუნისტებს თვალწინ გადაუშალა მარტენის საამქროსა და მისი ◊ წამყვანი ბირთვის—პირველადი პარტიული ორგანიზაციის მრავალმხრივი მოღვაწეობის სრული სურათი.

ფოლადის წარმოების განუწყვეტელი ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ახალი ადამიანის აღზრდა და კომუნისტური ურთიერთობის ჩამოყალიბება — აი ის საკითხები, რომლებიც წითელ ზოლად გასდევდა საანგარიშო-საარჩევნო კრების მთელ მსვლელობას.

საამქროს კოლექტივმა მიმდინარე წლის რვა თვის გეგმის გადამეტებით გამოადნო და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას მისცა ათასობით ტონა ფოლადი. უკვე რამდენიმე თვეა მემარტენეები რენტაბელურად მუშაობენ. წინა წელთან შედარებით წელს წუნის პროცენტი მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ წუნის შემცირების მაჩვენებელი მაინც სასურველი არ არის,—თქვა მომხსენებელმა.

—ცოდად როდი ვიმუშავეთ მოცდენის შესამცირებლად, — განაცხადა თავის გამოსვლაში მეფოლადე ვ. აბდალაძემ და ამ აზრის სათელაყოფად ციფრები მოიშველია: ღუმელების მოცდენა 12-13 პროცენტიდან წელს შემცირებულია 7,3 პროცენტამდე. მაგრამ მიღწეული ზღვარი არ არის. ჩვენ შეგვიძლია ეს პროცენტი უფრო გავაუმჯობესოთ.

ორატორები ფართოდ შეეხნენ მთავარი მიმართულების—ტექნიკური პროგრესის საკითხებს, კომუნისტთა წვლილს წარმოების სრულყოფაში. მათ აღნიშნეს კომუნისტების ვ. გიგიბერიასა და თ. ბარბაქაძის დიდი მუშაობა ღუმელების ქვედის დადუღების ახალი მეთოდის შესაქმნელად და დასანერგავად, რამაც 4-ჯერ შემცირა დადუღების პროცესის დრო.

კამათის მონაწილენი იმაზეც მიუთითებდნენ, რომ ეს სიახლე ჯერჯერობით მხოლოდ ხამ ღუმელზეა დანერგილი...

ქართველ მეფოლადეებს ეკუთვნით აგრეთვე პრიორიტეტი აგრეგატების გაუჩერებლად ცხელი რემონტის შესრულების საქმეში.

საამქროს საბჭოთა კავშირში პირველად შეძლო შეეცვალა ბოყვების ძვირადღირებული აგურის ამონაგი ბრძმედის იაფი წიდით, რაც დიდ ეკონომიას იძლევა. მეტალურგიაში ეს სიახლე კომუნისტს ს. სიხარულიძეს, საბოყვე ეზოს კომუნისტური შრომის უბნის უფროსს ეკუთვნის. ღუმელების დაჩარგული რემონტის საქმეში ახალი სიტყვა თქვეს აგრეთვე კომუნისტებმა ა. ფანცულაიამ, გ. ბერეკაშვილმა, მ. სანდერაშვილმა და სხვებმა.

ახლა საამქროს კოლექტივს განზრახული აქვს მსოფლიოში პირველად გადაწყვიტოს ფოლადის უწყვეტი ნაკადით ჩამოსხმის პრობლემა და ამ საქმეში ხელმძღვანელობენ, უკვე შეახლოებულს კომუნისტური შრომის ღუმელებისათვის გათვალისწინებული ყველა ნორმა. სწორედ ამიტომ მიეკუთვნა მათ ეს საპატიო სახელი.

მაგრამ ყველა ღუმელი როდი ასრულებს ფოლადის გამოდნობის გეგმებს, ყველა კომუნისტი როდი დგას წარმოების ავანგარდში. როგორც კრებაზე აღინიშნა, ბრიგადები, რომლებსაც კომუნისტები დ. ბარათაშვილი, გ. ჩაჩანიძე, ი. გურგენიძე, ბ. ივანცოფი და ვ. ინასარიძე ხელმძღვანელობენ, ხშირად ვერ ასრულებენ ფოლადის დნობის დავალებებს. საამქროს უფროსმა ა. იოსვიდოფიჩმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საამქროში ყველა ღუმელისათვის ერთნაირი პირობაა შექმნილი და თუ რომელიმე მათგანი გეგმებს ვერ ასრულებს, ამის მიზეზი მოცემული კოლექტივის გაუმართავ მუშაობაში უნდა ვეძებოთ.

მარტენის საამქროს საქმიანობაში ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად ითვლება ავარიების შემთხვევები. პარტიულ კრებაზე აღინიშნა, რომ ზოგჯერ, სამწუხაროდ, ამ ავარიების გამომწვევნი თვით კომუნისტები არიან. 4 სექტემბერს კომუნისტების შ. შუბითიძისა და ხ. წურწუმიას უყურადღებობით გადაიწვა ციცხვი, რის შედეგადაც ღუმელმა 50 ტონა ლითონი დაკარგა. კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციის მიერ ავარიების ლიკვიდაციის მიზნით გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებელია.

თავიანთ გამოსვლებში საქმიანი შენიშვნები გააკეთეს და სასარგებლო წინადადებები წამოაყენეს საამქროს პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ შ. ქაჯაიამ, კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ხელმძღვანელმა ნ. თალაკვაძემ, მეფოლადე ი. გურგენიძემ, საბოყვე ეზოს უბნის უფროსმა ს. სიხარულიძემ, საურნალო განყოფილების უფროსმა გ. შარიკაძემ და სხვებმა.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალი საწარმო ჭიათურაში

საქმეუნოდ ცნობილია მარგანეცის გამოყენების ფართო სფერო და ისიც, რომ მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა დიდძალ მარგანეცის მადნს მოითხოვს. ცნობილია აგრეთვე, რომ მარგანეცის შლამს დიდი პერსპექტივა აქვს სოფლის მეურნეობის აღმავლობაშიც. მადნის გამდიდრებისას წარმოიშობა შლამები, რომლებიც ჯერჯერობით მდინარე ყვირილას მიაქვს და იკარგება.

დადგენილია, რომ მარგანეცის შლამის ან, როგორც მას უწოდებენ, მიკროსასუქების შეტანა ნიადაგში დიდად ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას.

საკავშირო დეპეშათა სააგენტო რამდენიმე წლის წინათ კიევიდან იუწყებოდა:

„უკრაინის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განზრახულია სასუქად ფართოდ გამოიყენონ მარგანეცის მრეწველობის ნარჩენები, რომელთა მარაგი რამდენიმე მილიონ ტონას შეადგენს. ეს ნარჩენები — შლამი, რომელიც ნიადაგზე შეიტანეს, ძალიან კარგად მოქმედებს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებასა და პროდუქტიულობის ზრდაზე“.

მარგანეცის შლამის გამოყენება ქართველმა მეცნიერებმაც სცადეს გორში, ქარელში, ბუხრანის საბჭოთა მეურნეობაში. დადასტურებულია, რომ მარგანეცის მიკროსასუქები მნიშვნელოვნად ზრდის სიმინდის, ბოსტნეულის, ყურძნის და სხვა კულტურების მოსავლიანობას.

ამჟამად ჭიათურაში შენდება მარგანეცის შლამის დამჭერ-გამამდიდრებელი — მიკროსასუქების საწარმო. მშენებლობას საძირკველი ჩაეყარა. ახალი ითხვისის მაღაროს მადნის გამამდიდრებელ ცენტრალურ ფაბრიკასთან. მას ჭიათურის მარგამშენის ტრესტის ჭიათურამშენის სამმართველო აშენებს და მომავალ წელს უნდა დაამთავროს.

ვ. ჭიოკაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მოსკოვში, ლენინგრადში...

თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის კოლექტივი (დირექტორი ი. ბახსოლიანი) წარმატებით ანაღდებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. აქ რვა თვეში და ათ დღეში საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის დავალება გადამეტებით გაანაღდეს. სამშობლომ მიიღო 600 ათასი მანეთის პროდუქცია.

მოსკოვში, ლენინგრადში, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქში, შენობათა ფასადების მოსაპირკეთებლად და მოზაიკისათვის 34 ათასი ტონა მარმარილოს ნამცეცი გაიგზავნა.

ეწეოდე პროპაგანდას — ნიშნავს ნერგავდე

ეკონომიან ლენინგრადელთა გამოცდილებას

დიდი ინტერესით გაეცნენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაამშენებლო ქარხანაში „კომუნისტის“ ვუშინდელ ნომერს, რომელშიც მოთავსებულია სტატია იდეოლოგიური მუშაობის დარგში ლენინგრადელთა გამოცდილების შესახებ.

დილიდან საამქროებში ეცნობოდნენ მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ამ სტატიას. საქმიანი საუბრები გაიმართა საამქროების პარტიულ ორგანიზაციებში, საქარხნო კომიტეტში, კომკავშირის კომიტეტში, პოლიტიკური განათლების კაბინეტში.

აზრთა ცხოველი ურთიერთგაზიარება გამოიწვია სტატიამ ქარხნის საამქრო დარბაზში, სადაც გუშინ „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკები შეხვდნენ ქარხნის პარტიულ აქტივს, პროპაგანდისტებს, აგიტატორებს, ლექტორებს, გაზეთის მეკითხველებს. შეხვედრაზე მრავალი საინტერესო აზრი გამოითქვა.

კომუნისტმა რ. გზინაპაძემ თქვა, რომ ლენინგრადელთა გამოცდილება უფაფოდ დაეხმარება ქარხნის პარტიულ კომიტეტს იდეოლოგიური მუშაობის მრავალფეროვნად და საინტერესოდ წარმართვაში. საჭიროა ლენინგრადელთა მაგალითისამებრ ფრთხილად მიეკუდგეთ კომუნისტური შრომის კოლექტივის მაღალი წოდების მინიჭებას, თავდადებულად ვიბრძოლოთ მაღალი კულტურის საწარმოს სახელისათვის. მორალურ სტიმულირების ახალი ფორმების დანერგვა უთუოდ შეუწყობს ხელს ახალი ადამიანის შრომითს აღზრდას. რ. გზიკაძეს არასწორად მიაჩნია, რომ მხოლოდ ერთ რომელიმე მუშას გადაკარნახებით აქვს ყველა გაზეთი, რადიო, ტელევიზია. საჭიროა ვეძიოთ ახალი სახელები, ახალი გმირები. ისინი ჩვენს გვერდით არიან.

პერსონალურმა პენსიონერმა ალ. ზარიძემ მხურვალედ მოიწონა ლენინგრადელთა შრომითი ტრადიციები, მუშათა დინასტიების ოჯახების ტრადიცია, აგრეთვე ახალი საბჭოთა რიტუალები — მუშათა კლასის რიგებში მიღება, ნოვატორთა დაბადების დღის აღნიშვნა კოლექტივში და ა. შ.

მრავალი საინტერესო აზრი გამოთქვა საზოგადოებრივ საწყისებზე ქარხანაში შექმნილი პოლიტგანათლების კაბინეტის გამგემ დ. პაპუაშვილმა. მას მოსწონს შრომის დისციპლინის დამრღვევებთან ბრძოლის მეთოდები, რომლებსაც ლენინგრადელები იყენებენ. მოითხოვა პროპაგანდისტთა მეთოდური სემინარებისა და სკოლების ნიმუშის გადმოღება, სურს შეიქმნას პროპაგანდისტთა დახელოვნების სკოლა ან უნივერსიტეტი.

დ. პაპუაშვილმა სურვილი გამოთქვა, რომ გამოიცეს პოლიტსკოლებისათვის თვალსაჩინოებანი, პროგრამები, ჟურნალ-გაზეთებში უფრო ხშირად იბეჭდებოდეს მეთოდური ხასიათის წერილები პროპაგანდისტთა და აგიტატორთა მუშაობის შესახებ.

ლექტორთა ჯგუფის წევრმა ა. ფოფხაძემ ყურადღება მიაქცია იმ მრავალფეროვან ფორმებს, რომელებსაც ლენინგრადელები იყენებენ იდეოლოგიურ მუშაობაში მოსახლეობის ფართო ფენებთან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მან დაასვა საკითხი აღზრდის ისეთი კერების შექმნის შესახებ, როგორიც არის კულტურის სასახლე, კლუბი, აგრეთვე კინოსურათების გამოყენება ლექციურ პროპაგანდაში, მთელ აღმშრდელობითს მუშაობაში. მანვე შენიშნა, რომ ქარხნის უნნის კიოსკებში ვერ იყიდი გაზეთებს „კომუნისტს“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, „ლენინელს“...

ახალგაზრდა მუშას ვ. თოთლაძეს მოსწონს ადამიანის შრომითი აღზრდის სისტემა, რაც დანერგილია ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში. საჭიროა მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შექმნა. თანამედროვე მუშა უნდა იმაღლებდეს არა მარტო იდეურ-თეორიულ დონეს, არამედ საწარმოო კვალიფიკაციასაც. ამ საქმეს პირველ რიგში კომუნისტები უნდა ჩაუდგნენ სათავეში.

ქარხნის პარტბიუროს მდივანმა პ. გურულმა მოიწონა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარი გამოცდილების ჩვენი რესპუბლიკის პრაქტიკაში დანერგვის იდეა. მან აღნიშნა, რომ ქარხნის პარტიული კომიტეტი ფართოდ გამოიყენებს რევოლუციურ ტრადიციებზე ახალი ადამიანის აღზრდის დარგში ლენინგრადელთა მიერ შეძენილი გამოცდილების მდიდარ არსენალს. ჩვენ ეფუძნრობთ ლენინგრადელთა მაგალითისამებრ შეიქმნათ მხატვარ-გამამფორმებელთა სკოლა ან წრე. შეიძლება მიკროგრაიონის ქარხნებისათვის შეიქმნას ერთი სკოლა. ამ საქმეში პარტიულ კომიტეტს დასჭირდება საქართველოს მხატვართა კავშირის დახმარება.

საუბარი დაიწყო, მაგრამ არ დამთავრებულა. იგი გრძელდება საამქროებში, პარტიულ კომიტეტში, პოლიტიკური განათლების კაბინეტში, პარტიულ კრებებზე...

ახლა მთავარია სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. შემოქმედებითად დავნერგოთ იდეოლოგიურ მუშაობაში ლენინგრადელთა საინტერესო ფორმები და მეთოდები.

ლიბერალობა ერთ კრებაზე

კრების დაწყებამდე ოთხი საათი იყო დარჩენილი. გადაწყვეტილი დრო არ დამეკარგა და დამეთვალიერებინა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ტაიბულის სამმართველოს ობიექტები.

პირველად ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოში შევედი, რომელიც რკინიგზის ტაიბულის სადგურის გვერდით მდებარეობს. სახელოსნოში მკერავები გ. გოცირიძე და ვ. ხუციშვილი უსაქმოდ იდგნენ და საუბრობდნენ.

—დაკვეთები ბლომად გაქვთ? — შევეკითხე მათ.

—რასაც ხედავთ, ის არის, — გვიპასუხა გ. გოცირიძემ. გაბმულ თოკზე მამაკაცის ახალშეკერილი სამი შარვალი ეკიდა. ერთ მათგანს დაკვეთის ქეთრი არ ეკრა.

— კეთრო მწარმოებლობას ეწევით?

— რას ბრძანებთ, ეს შარვალი ამ წუთს მოიტანა ვიღაც კლიენტმა და მთხოვა შეკერვის დეფექტი გამესწორებინა. მართალი გიჯახრთ, ქეთრის ამოწერა ვერ მოვასწარი, ვერც მოქალაქის ვინაობა დავიხსომე, — იცრუა გ. გოცირიძემ.

ჩვენი ყურადღება სამკერვალო სახელოსნოს გვერდით მდებარე პატარა ფარდულმა მიიპყრო. „ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო“ — ასეთი აბრა ჰკონდა მას. ფარდულის კარებთან რამდენიმე კლიენტი იდგა. ხელოსანს ელოდებოდნენ.

— აქ შუდამ ასეა, — თქვა ერთმა მათგანმა, — კაცი ვერ გიგიგებს. როდის იწყება ეს თავდება მუშაობა. სახელოსნო სახალხოდ ფეხსაცმელია, ხელოსნის სამუშაო საათებზე კონტროლს არავინ აწესებს.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ტაიბულის სამმართველოს სისტემაში ასეთი შემთხვევები იშვიათი როდია. აქ ძალიან ცოტა კეთდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სახარმოთა გამსხვილებისა და გაფართოებისათვის. ამჟამად ქალაქში 37 სახელოსნოა. აქედან 17-ში მხოლოდ თითო კაცი მუშაობს, ხოლო 8 სახელოსნოში — ორ-ორი. ეს აუარესებს მოქალაქეთა კულტურულ მომსახურებას, არის შრომის დისციპლინის დარღვევის, ფულის მითვისების შემთხვევები, კანონით აკრძალული კერძო რეწვა და სხვა დამახასიათებელი.

მაიაკოვსკის ქუჩაზე, რომელიც ცენტრალურ ბაზრის ტერიტორიაზე მდებარეობს, გახსნილია ფეხსაცმლის შეკეთებელი სახელოსნო. იგი ცუდად ემსახურება მოსახლეობას. უკანასკნელ ხუთი თვის მანძილზე საფინანსო დარგის მუშაკებმა ეს სახელოსნო სამჯერ შეამოწმეს და სამჯერვე უხეში დამანაშაულებები გამოაცალეს. ხელოსანი გ. ბუხრაშვილი ისე გათამამდა, რომ ორ-ბოდათ — ისწავლეს მოვლა-პატრონობა. მალე ყველა დარწმუნდა, რომ საინკუბატორო სადგურის დაარსება მეტად საჭირო და სასარგებლო წამოწყება იყო. სადგურში რიგი დადგა წიწილებისა გაყვანაზე.

იმ სეზონში საინკუბატორო სადგურმა 27 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა სახელმწიფოს. ეს იყო კოლექტივის პირველი გამარჯვება. პირველი გამოცდა წარმატებით იყო ჩაბარებული.

აქედან მოკიდებული საგარეჯოს საინკუბატორო სადგურის კოლექტივს გამარჯვების ზეიმი და სიხარული არ მოჰკლებია. ყოველწლიურად წარმატებას წარმატება ემატებოდა. მაღალი მაჩვენებლებისათვის სადგური არა ერთხელ იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე და სხვადასხვა დროს დაჯილდოებული გამოფენის დიპლომებით, მედლებით, ფასიანი საჩუქრებით.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური შრომის მოძრაობა რომ გაიშალა, საგარეჯოს საინკუბატორო სადგურის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ჩაება ამ მოძრაობაში და მალე კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელიც მოიხვეჭა.

ამ წარმატებათა სული და გულია თამარ ქვლივიძე, რომელიც 15 წელია უცვლელად ხელმძღვანელობს ამ პასუხსაგებ ობიექტს.

— კარგი ხელმძღვანელის სახელი კარგმა კოლექტივმა მომიხვეჭა, თორემ მარტო მე რას გავხდებოდი, — გვითხრა თამარმა და სათითოოდ გაგვაცნო ამ მეგობრული კოლექტივის საუკეთესო წევრები: გამოსაჩეკი საამქროს გამგე ზოოტექნიკოსი მაყვალა ქარუმიძე, ზოოტექნიკოსები ცისანა ქქვთიმიშვილი და თამარ ნაცვლიშვილი, უფროსი ზოოტექნიკოსი ალექსანდრე გურგენიძე, გასაზრდელი საამქროს გამგე ზოოტექნიკოსი რობინზონ ნაცვლიშვილი, ვეტექიმები თეიმურაზ ბედიაშვილი, ოპერატორები მარო გზირიშვილი და ანტა ბუზარიაშვილი. ეს ადამიანები სადგურის დაარსების დღიდან უცვლელად მუშაობენ აქ და ერთგულად, შეუცდომლად აკეთებენ თავიანთ საქმეს.

გავიცანით აგრეთვე მოწინავე მეფრინველეები ეკატერინე გრატიაშვილი, მარო ქანსოსრიშვილი, ქსენია ხუციშვილი, რუსიკო ქურული.

— სხვებიც ბევრნი არიან საუკეთესონი, — ამბობს თამარი, — მიძნელდება გადაბრა ჰქონდა მას. ფარდულის კარებთან რამდენიმე კლიენტი იდგა. ხელოსანს ელოდებოდნენ.

— აქ შუდამ ასეა, — თქვა ერთმა მათგანმა, — კაცი ვერ გიგიგებს. როდის იწყება ეს თავდება მუშაობა. სახელოსნო სახალხოდ ფეხსაცმელია, ხელოსნის სამუშაო საათებზე კონტროლს არავინ აწესებს.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ტაიბულის სამმართველოს სისტემაში ასეთი შემთხვევები იშვიათი როდია. აქ ძალიან ცოტა კეთდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სახარმოთა გამსხვილებისა და გაფართოებისათვის. ამჟამად ქალაქში 37 სახელოსნოა. აქედან 17-ში მხოლოდ თითო კაცი მუშაობს, ხოლო 8 სახელოსნოში — ორ-ორი. ეს აუარესებს მოქალაქეთა კულტურულ მომსახურებას, არის შრომის დისციპლინის დარღვევის, ფულის მითვისების შემთხვევები, კანონით აკრძალული კერძო რეწვა და სხვა დამახასიათებელი.

ცხადია, არსებული ნაგვიბობანი, რომელიც საინკუბატორო სადგურის მფლობელობაში იყო, საკმარისი არ იქნება იმ დიდი მეურნეობისათვის, რომლის მოწყობა აქ არის განზრახული. უკვე გამოყვეს 50 ჰექტარი ფართობი ახალშენებლობებისათვის. ამ ტერიტორიაზე უახლოეს ორ წელიწადში აიგება ახალი ტიპის კეთილმოწყობილი საფრინველეები, საწყობები და სხვა დამხმარე ნაგებობანი, ამშენდება აგრეთვე საცხოვრებელი სახლი მეფრინველეებისათვის, მოეწყობა წყალგაყვანილობა და ელექტროგაყვანილობა, მოასფალტდება გზები.

ორი წლის შემდეგ, როცა ახალმშენებლობანი დამთავრდება, ფაბრიკა მუდმივად იყოლიებს 200 ათას ფრთა ქათამს და ყოველწლიურად აწარმოებს 700 ტონა ფრინველის ხორცს და 30 მილიონ კვერცხს.

ფაბრიკა ახალი ხორცითა და კვერცხით ძირითადად მოამარაგებს თბილისისა და რუსთავის მშრომელებს.

ახალ ვითარებასთან დაკავშირებით საგარეჯოელი მეფრინველეები ერთგვარ სიძნელეებს წააწყდნენ: კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოების დავალებები გაიზარდა, სამეურნეო პირობები კი შარშანდელთან შედარებით არსებითად არ შეცვლილა. საქმეს განსაკუთრებით აფერხებს ის გარემოება, რომ არა აქვთ კეთილმოწყობილი საწინელეები, სადაც საშუალება იქნებოდათ განუწყვეტლივ გამოეზარდათ წიწილების ახალ-ახალი პარტიები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შიერ მეფრინველეობის შემდგომი განვითარების შესახებ ახლახან მიღებული დადგენილების პასუხად საგარეჯოელმა მეფრინველეებმა ახალი ვალდებულებები აიღეს. გვჯერა მისი შესრულებისათვის ბრძოლაში ისინი ამჯერადაც პირნათელი იქნებიან სამშობლოს წინაშე. ამის თავდებია მათი მაღალნაყოფიერი შრომა.

მ. მიქაძე.

* * *

სურათებზე: (ზემოთ) საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი თ. ქვლივიძე, (ქვემოთ) ახალი ტიპის საფრინველეები ფაბრიკის ტერიტორიაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

ინებეთ ვარიები, ივრისპირულია!

ადამიანები და ადამიანები

დღეს გლეხკაცს ინკუბატორითა და ფართოგაბარიტიანი კეთილმოწყობილი საფრინველეებით ვერ გააკვირვებ. მარტო საკოლმეურნეო ფერმებში კი არა, შინ, ოჯახისთვისაც ზრდიან ინკუბატორში გამოჩეკილ წიწილებს. ამ თხუთმეტი წლის წინათ კი საგარეჯოში საინკუბატორო სადგური რომ დაარსდა, უკვირდათ, უკრუზოდ წიწილები როგორ გამოიჩეკებოო. თამარ ქვლივიძეს, ამ საინკუბატორო სადგურის პირველ დირექტორსა და სულის ჩამდგმელს, მცირე შრომა და ჯაფა როი დასჭირდა იმისათვის, რომ ხალხი დაერწმუნებინა ამ წამოწყების სარგებლიანობაში.

პირველ წელიწადს ინკუბატორისთვის სოფელში კვერცხებს რომ არჩევდა და აგროვებდა, ხალხი არც თუ დიდი ნდობითა და პატივისცემით ეკიდებოდა მის საქმიანობას. ახალგაზრდა ზოოტექნიკოსმა თანატოლებსაც კი ვერ გადასდო თავისი ენთუზიაზმი და გატაცება.

— რაო, რაო, შვილო? კარგად ვერ გავიგე... შენ ამბობ, რომ ქათმის მაგივრად მანქანა დაჯდება კრუხად, გაათბობს კვერცხებს და წიწილება გამოჩეკსო? — დაეკვეთი ეკითხებო და რომელიმე კოლმეურნე და დამცინავი დიმილით ისმენდა მის პასუხს.

— კი, ძია თედო, დაახლოებით ასეა, მანქანა გამოჩეკს.

— კარგი, ვთქვათ ეს სასწაული დაგიჯერეთ, გამოჩეკა მანქანამ... როგორა თქვი, რამდენი ეტეკვა იმ შენი მანქანის ბუდეში?

— პირველ წყებად 5.600 ცალს ვაწყობთ, მერე ყოველ მესამე დღეს კვერცხის ახალ-ახალ პარტიებს ვუმატებთ...

— მერე, შე დალოცვილო, ამდენ წიწილას მოვლა არ უნდა? უკრუხოდ ვინღა ასწავლის კენჭვას, ვინღა ჩაუყენდება ღამით ბუდეში... თუ შენს მანქანას იმდენი ჭკუა აქვს და ეგეებიც იცის, აგერა და ხვალეო, ვნახავთ და დაგიჯერებთ.

— ინკუბატორი, ძია თედო, მართლა სასწაულმოქმედი მანქანა კი არ არის, გამოჩეკს და მერე ჩვენ უნდა მოვუაროთ და გაეზარდოთ წიწილები.

— ჰოდა ნუ გეწყინება და პირდაპირ გეტყვი, შვილო, მაგ საქმიდან არაფერი გამოვა... უდედოდ წიწილების გაზრდა გაგონილა! ერთ წელიწადს ჩემ დედაკაცს კრუხი ქორმა მოსტაცა, სამი დღის გამოჩეკილი წიწილები ობლად დარჩნენ. ჯერ იყო და, მამმა სხრიალმა და წიოკობამ ყურთასმენა წაიღო, მერე ისე დაიფანტნენ და დაიმნენ ეზოში, საღამოს ნახევარსაც ვერ მოვუყარეთ თავი. რაც დარჩა, იმ ღამეს ბუდეში ჩახოცილიყვნენ სიცივისაგან... არა, შვილო, უკრუხოდ წიწილა არ გაიზრდება.

ასე უნდობლად და უხალისოდ შეხვდნენ კოლმეურნეები საგარეჯოში სარაინთაშორისო საინკუბატორო სადგურის დაარსებას. მაგრამ თამარი გულს არ იტეხდა: „რა თქმა უნდა, ლიტონ სიტყვებს არაგინ ენდობა, უნდა აჩვენო, დაარწმუნო, საქმით უნდა დაუმტკიცო“, — ეუბნებოდა იგი თავის თავს და მეტი მონდომებით ეძალებოდა საქმეს.

უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო საინკუბატორო სადგურის შესაფერი კადრებით დაკომპლექტება. თამარმა თავი მოუყარა ახალგაზრდა მტკიცეს, საიმედო ამხანაგებს, რომლებიც სიძნელეებს არ შეუშინდებოდნენ.

ახალი დირექტორი მშენებლობასაც თვითონ ხელმძღვანელობდა. შეარჩიეს ორი ბეტონარი ფარფოროი საგარეჯოს ჭანაპირა უბანში. ეკალბარდებისაგან გაწმინდეს, მიწა მოასწორეს, სამენი მასალა მოზიდეს, და გაჩაღდა მშენებლობა. შემოდგომა იყო. წინ ზამთარი ედგათ მშენებლებს და საჭირო იყო აჩქარება, მაგრამ მუშახელი არ ყოფნიდათ. გადაწყვიტეს შაბათობა მოეწყოთ. თამარმა ითავა და მთელი რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ფეხზე დააყენა.

მშენებლობა გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დამთავრდა. იმავე ზამთარს ვორონეჟიდან სპეციალისტი მოიწვიეს და ინკუბატორებიც დაკომპლექტეს. გაზაფხულზე სადგური უკვე მზად იყო. მაისში კი საგარეჯოს საინკუბატორო სადგურში პირველი წიწილები აწიოკდნენ. ეს იყო 1950 წელს.

საგარეჯოს, გურჯაანისა და კაჭრეთის კოლმეურნეობებმა საინკუბატორო სადგურიდან წიწილების პირველი პარტია წაიყვანეს, მაგრამ ადგილებიდან სასიხარულო ცნობები არ მოდიოდა: წიწილები თითქმის ყველგან დაეხოცათ. ჩანს, ვერ უვლიდნენ ჯეროვნად, მეფრინველეობის ფერმებში შესაფერი პირობები არ ჰქონდათ. თამარი მიხვდა, რომ მარტო საინკუბატორო სადგურზე ზრუნვა არ კმარიდა. ამიერიდან მას ბევრი საქმე და საზრუნავი ექნებოდა კოლმეურნეობებშიც.

იმ ხანებში მას დღეადღამ არ ეძინა. მიდიოდა ადგილზე, ასწავლიდა, რჩევა-დარიგებას აძლევდა კოლმეურნეებს, ეხმარებოდა მათ ახალი ტიპის კეთილმოწყობილი საფრინველეების გამართვაში, ესაუბრებოდა მეფრინველეებს მოწინავე მეფრინველეთა გამოცდილებაზე, იმაზე, თუ როგორ უნდა დაენერგათ ეს მეთოდი თავიანთ მეურნეობაში.

თავდადებულ შრომას უქმად არ ჩაუვლია. წარმატების პირველი ნიშნები იმავე ზაფხულს გამოჩნდა. საკოლმეურნეო ფერმებში წიწილები უკვე იშვიათად ეხოცებოდათ — ისწავლეს მოვლა-პატრონობა. მალე ყველა დარწმუნდა, რომ საინკუბატორო სადგურის დაარსება მეტად საჭირო და სასარგებლო წამოწყება იყო. სადგურში რიგი დადგა წიწილებისა გაყვანაზე.

ამ სეზონში საინკუბატორო სადგურმა 27 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა სახელმწიფოს. ეს იყო კოლექტივის პირველი გამარჯვება. პირველი გამოცდა წარმატებით იყო ჩაბარებული.

აქედან მოკიდებული საგარეჯოს საინკუბატორო სადგურის კოლექტივს გამარჯვების ზეიმი და სიხარული არ მოჰკლებია. ყოველწლიურად წარმატებას წარმატება ემატებოდა. მაღალი მაჩვენებლებისათვის სადგური არა ერთხელ იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე და სხვადასხვა დროს დაჯილდოებული გამოფენის დიპლომებით, მედლებით, ფასიანი საჩუქრებით.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური შრომის მოძრაობა რომ გაიშალა, საგარეჯოს საინკუბატორო სადგურის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ჩაება ამ მოძრაობაში და მალე კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელიც მოიხვეჭა.

ამ ბოლო ხანებში ეს სახელოსნო სამჯერ შეამოწმეს და სამჯერვე უხეში დამანაშაულებები გამოაცალეს. ხელოსანი გ. ბუხრაშვილი ისე გათამამდა, რომ ორ-ბოდათ — ისწავლეს მოვლა-პატრონობა. მალე ყველა დარწმუნდა, რომ საინკუბატორო სადგურის დაარსება მეტად საჭირო და სასარგებლო წამოწყება იყო. სადგურში რიგი დადგა წიწილებისა გა

ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

საერთაშორისო ჟურნალისტთა ცხოვრება

ბ. რასელი გმობს ამერიკის პროვოკაციებს

ლონდონი, 21 სექტემბერი. (საკდესი). „ამერიკის უკანასკნელი შეიარაღებული პროვოკაციები, მოიწყო ისინი პრეზიდენტ ჯონსონის მოწონებით თუ ადგილობრივი სარდლობის ინიციატივით, უნდა დავგმოთ“, — ნათქვამია მშვიდობისათვის ცნობილი ინგლისელი მებრძოლის ბერტრან რასელის განცხადებაში.

შეერთებული შტატები, განაგრძობს რასელი, ვერ იხსნიან თავიანთ გაკოტრებულ პოლიტიკას სამხრეთ ვიეტნამში იმით, რომ ცდილობენ შენიღბონ მისი კატასტროფული შედეგები ახალი აგრესიით.

ამერიკის საუკეთესო ნაღმოსნები ჩინეთისა და ჩრდილოეთ ვიეტნამის სანაპიროსთან მუდმივ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. ორივე ინციდენტი ტონკინის უყურეში ამერიკის ავანტიურაა. ეს ავანტიურა საფრთხეს უქმნის მშვიდობას. მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა უნდა შეაგნებინოს შეერთებულ შტატებს, რომ შეშფოთებულია იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც ამერიკა ახორციელებს ვიეტნამში, და გმობს მას.

განიხილავენ უ ტანის მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ს

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი **ს. ლოსევი იუწყება:** როგორც ცნობილია, უშიშროების საბჭო განიხილავს გენერალური მდივნის უ ტანის მოხსენებას კვიპროსში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ოპერაციის შესახებ. ამ მოხსენების გამო გამართულ კამათში გუშინ მონაწილეობა მიიღეს ბრაზილიის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, სპილოს ძვლის ნაპირისა და მაროკოს წარმომადგენლებმა.

ბრაზილიის დელეგატმა ედერალდო დე კარვალიო სილოსმა მხარი დაუჭირა იმას, რომ კვიპროსში მყოფ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს მიეცეთ გადაადგილების განუსაზღვრელი თავისუფლებანი.

როჟე სეიდუმ (საფრანგეთი) აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობის დამოკიდებულება კვიპროსში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ოპერაციისადმი ისეთივე დარჩა, როგორიც მიმდინარე წლის მარტში იყო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მანდატი წინანდელი პირობები, რომლებიც განსაზღვრულია საბჭოს 4 მარტის რეზოლუციაში, უნდა გაგრძელდეს, თქვა მან, კიდევ სამი თვით.

სპილოს ძვლის ნაპირის წარმომადგენელმა არსენ ასუან უშერმა აღნიშნა, რომ საბჭოს მარტის რეზოლუცია ძირითად კასუხისმგებლობას კუნძულზე კანონიერებისა და წესრიგის დაცვისათვის აკისრებდა კვიპროსის მთავრობას. უშერმა ხოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს ითანამშრომლონ კვიპროსის მთავრობასთან ამ ამოცანის შესრულების საქმეში.

სიდი ბაბამ (მაროკო) გამოთქვა შეშფოთება, რომ ახლანდელ დაძაბულობას კვიპროსის გამო შეიძლება ყოველ მომენტში მოჰყვეს ომი საბერძნეთსა და თურქეთს შორის. მაროკოს დელეგატმა არსებითად დაუჭირა მხარი წინადადებას კვიპროსში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების გაფართოებისა და მათი დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ირჟი გაეკმა აღნიშნა, რომ მისი მთავრობა, ითვალისწინებს რა კვიპროსის მთავრობის პოზიციას, მხარს უჭერს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მანდატი კიდევ სამი თვით გაგრძელდეს იმ პირობით, თუ ამ ჯარების საქმიანობა დამატებით ვადაში განხორციელდება ზუსტად საბჭოს 1964 წლის 4 მარტის რეზოლუციის ფარგლებში.

თურქეთის შეიარაღებული შეჭრის საფრთხე არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი. ნატოს წამყვანი სახელმწიფოები კვლავ ერევიან რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, თავიანთი ანგარებითი ინტერესებისთვის ამწვავებენ წინააღმდეგობასა და შუღლს კუნძულის ორ თემს შორის და ცდილობენ კვიპროსი აიცდინონ ნეიტრალიზმის გზას და შეინარჩუნონ იგი როგორც სამხედრო ბაზა. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა მოუწოდა უშიშროების საბჭოს დაიცვას კვიპროსის რესპუბლიკა გარედან ზეგავლენისა და ჩარევის ყოველგვარი ცდისაგან.

„ლუმანიტე“ იუწყება...

პარიზი, 22 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ დღეს გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგი. პლენუმი 9 და 10 ოქტომბერს გაიმართება პარიზის იერის გარეუბანში. პლენუმი განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1. მოხსენებას მორის ტორეზის ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებებისა და მისი ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლის შესახებ. მომხსენებელი გასტონ პლისონიე.

2. პოლიტიკური ვითარება და საფრანგეთის კომპარტიის XVII ყრილობის შემდეგ მომხდარი ცვლილებანი, პარტიის ამოცანები წამოყენებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში. მომხსენებელი ეორუ მარშე.

3. პარტიის ორიენტაცია, პროგრამა და ტაქტიკა მუნიციპალურ არჩევნებში. მომხსენებელი ეაკ დიუკლო.

4. მზადება კომუნისტური და წუშათა პარტიების თათბირისათვის. მომხსენებელი როლან ლეროუ.

ცხოვრება უარყოფს

ბელგრადი, 22 სექტემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა იოსიპ ბროზ ტიტომ სადილი გამართა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ანტონინ ნოვოტნის პატივსაცემად. მისასალმებელ სიტყვაში ი. ბროზ ტიტომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის იდეალებისა და ინტერესების ერთობას აქვს ფართო საფუძველი, რომელზეც მომავალშიც წარმატებით შეიძლება განვითარდეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობა. საერთაშორისო საქმეებში, თქვა ი. ბროზ ტიტომ, ორივე ქვეყანას აქვს ბევრი საერთო ინტერესი, რომელთაგანაც მთავარია მშვიდობის შენარჩუნება. შეიძლება ქმაყოფილებით აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყანა აქტიური მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ერთგულია.

ი. ბროზ ტიტომ ხაზი გაუსვა, რომ „საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგებში გაჩნდა დოგმატური და გამთიშველი ელემენტები, რომლებსაც ჩინეთის ხელმძღვანელები მეთაურობენ“. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საჭიროა საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ და მთელმა პროგრესულმა ძალებმა მონაწილეობა მიიღონ დაძაბულ ღონისძიებებში საერთაშორისო ურთიერთობის კონსტრუქციული განვითარებისათვის,

ჩვენს საგარეო პოლიტიკაში ხელმძღვანელობთ იმით, რომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის, პროგრესული ძალების შემდგომი ზრდისა და სოციალიზმის განვითარებისათვის ბრძოლაში მთავარი ძალაა უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, გასაცვლელ საპასუხო გამოსვლაში ანტონინ ნოვოტნიმ.

ორიან ადამიანები, ხაზი გაუსვა მან, რომლებიც, ცდილობენ რა თავს მოაბეზოონ მსოფლიო პროგრესულ მოძრაობას თავიანთი უპატიოსნო და ავანტიურისტული კურსი, ამტკიცებენ, თითქოს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა არარევოლუციური იყოს და რომ იგი ნიშნავდეს კაპიტულაციას, შერიგებას იმპერიალიზმთან. ჩინეთის ხელმძღვანელთა მიერ ფაქტების ასეთ დოგმატურ გაგებას სავსებით უარყოფს თვით ცხოვრება, რასაც ადასტურებს დღეანდელი საერთაშორისო მდგომარეობაც. მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური პრინციპები.

ᲐᲠᲐᲤᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘᲗ

ერაყის პრეზიდენტის არეფის დეკრეტით ერაყის ბაასისტთა მთავრობის ყოფილი მინისტრები დათხოვნილი არიან იმ თანამდებობიდან, რომლებიც მათ ეჭირათ. მათ შორის არიან ერაყის ელჩი ბელგიაში სთარ აბდელ ლატიფი და ერაყის საქმეთა წარმუნებული ავღანეთში დიაბა ალ-ალგავი.

Yოველწლიურად იზრდება და მშვენდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი. ქალაქის ცენტრში ფართოდ გაიშალა სამშენებლო სამუშაოები.

ბერლინის მთავარ მაგისტრალზე — კარლ-მარქს-ალეაზე გაიხსნა ახალი კომფორტაბელური სასტუმრო „ბერლინი“.

სურათზე: სასტუმრო „ბერლინი“. მარჯვნივ — კინოთეატრი „ინტერნაციონალი“.

ფოტო ადნ-საკდესისა.

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის განცხადება

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სოლიდარობის მსოფლიო ფორუმი ამთავრებს მუშაობას და მისი მონაწილენი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ ერთობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ჯანსაღ ატმოსფეროს გამო, რაც ფორუმზე შეიქმნა. ამავე დროს, ცნობილია, რომ ფორუმის მონაწილეთა შორის ერთგვარი შეშფოთებაა იმის გამო, რომ ფორუმზე ჩამოსული ჩინელი წარმომადგენლები არა თუ არ წყვეტენ, არამედ აძლიერებენ კიდევაც მოქმედებას იმისათვის, რომ შეარყიონ ერთობისა და შეკავშირების სულისკვეთება. უფრო მეტიც, ჩინეთის დელეგაციის წევრები გაძლიერებით ავრცელებენ ფორუმის კულუარებში პროპაგანდისტულ მასალებს, რომლებიც შეიცავენ არა მარტო სხვადასხვა მონაჯორსა და ცილისწამებას საბჭოთა ახალგაზრდობის, ფორუმის მიზნებისა და მისი მუშაობის მიმდინარეობის მიმართ, არამედ ავრეთვე შეიცავენ აშკარა გამოხდომებს საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ცხადია, რომ ჩინეთის წარმომადგენელთა ეს ძირგამომთხრელი საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება განცხადებებს, რომლებიც მათ უკვე გააკეთეს ფორუმის ტრიბუნიდან. ამ განცხადებებში ამტკიცებდნენ, თითქოს ფორუმზე ირღვეოდეს დემოკრატია, ცდილობდნენ ვიღაცა „ჩაიჩუმონ“ და თითქოს „თავს ესხმოდნენ ჩინეთს“. ასეთ მტკიცებასთან ერთად ჩინეთის დელეგაცია მიმართავდა გამოხდომებს საბჭოთა ქვეყნისა და მისი ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

საჭიროდ არ მიგვაჩნია უარვყოთ მთელი ეს ცილისწამება, რადგან ფორუმის მონაწილეებმა კარგად იციან საქმის ნამდვილი ვითარება. რაც შეეხება გამოხდომებს საბჭოთა კავშირის, მისი პოლიტიკის წინააღმდეგ, სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტი უფლებას იტოვებს უპასუხოს ამ გამოხდომებს და თავის დროზე გამოაქვეყნოს შესაბამისი მასალები.

სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტი აცხადებს, რომ საბჭოთა დელეგაცია სხვა ქვეყნების დელეგაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ყოველ ღონეს იხმარს, რომ ფორუმმა შეასრულოს თავისი ამოცანა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲐᲨᲘ

ლა-პასი, 22 სექტემბერი. (საკდესი). კვლავ დაძაბულია მდგომარეობა ბოლივიაში, რომელიც გამწვავდა იმის გამო, რომ მთავრობამ გააკეთა განცხადება მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების აღმოჩენის შესახებ. მთელ ბოლივიაში შემოღებულია საალყო წესები.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ამჟამად საპყრობილეებში იმყოფება 80-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი.

უცნობი პირები თავს დაესხნენ რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს გენერალ ბარიენტოს ორტუნიოს, მის სახლს ესროლეს ბომბი, რომელმაც ნაწილობრივ დაანგრია შენობა. თვითონ ბარიენტოს ორტუნიოს მხოლოდ ნერვული შერყევა მოუვიდა.

ᲨᲕᲔᲓ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

სტოკჰოლმი, 23 სექტემბერი. (საკდესი). შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტებმა წარმატებები მოიპოვეს არჩევნებში. ჩვენ მოვიპოვეთ სამი ახალი მანდატი და ერთადერთი პარტია ვართ, რომელმაც პროპორციულად გაზარდა თავისი ამომრჩეველების რიცხვი, გაიზარდა შვეიციის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ კ. ჰ. ჰერმანსონმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა შვეიციის რადიოთი შვეიციის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნების შედეგების შესახებ. არჩევნებში პარტიის წარმატების მიზეზად ჰერმანსონს მიაჩნია „სწორი პოლიტიკა ამომრჩეველთა მიმართ, პარტიის კარგი მუშაობა საარჩევნო კამპანიის დროს“.

არჩევნების უნინშვნელოვანესი შედეგი, თქვა დასასრულ კ. ჰ. ჰერმანსონმა, რა თქმა უნდა, ის არის, რომ მუშა ამომრჩეველთა უმრავლესობა ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა და მისი შემადგენლობა გაუმჯობესდა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მემარჯვენეები ძლიერ ჩამორჩნენ.

ᲛᲔᲥᲘᲪᲔ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სოლიდარობის მსოფლიო ფორუმი ამთავრებს მუშაობას და მისი მონაწილენი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ ერთობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ჯანსაღ ატმოსფეროს გამო, რაც ფორუმზე შეიქმნა. ამავე დროს, ცნობილია, რომ ფორუმის მონაწილეთა შორის ერთგვარი შეშფოთებაა იმის გამო, რომ ფორუმზე ჩამოსული ჩინელი წარმომადგენლები არა თუ არ წყვეტენ, არამედ აძლიერებენ კიდევაც მოქმედებას იმისათვის, რომ შეარყიონ ერთობისა და შეკავშირების სულისკვეთება. უფრო მეტიც, ჩინეთის დელეგაციის წევრები გაძლიერებით ავრცელებენ ფორუმის კულუარებში პროპაგანდისტულ მასალებს, რომლებიც შეიცავენ არა მარტო სხვადასხვა მონაჯორსა და ცილისწამებას საბჭოთა ახალგაზრდობის, ფორუმის მიზნებისა და მისი მუშაობის მიმდინარეობის მიმართ, არამედ ავრეთვე შეიცავენ აშკარა გამოხდომებს საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ცხადია, რომ ჩინეთის წარმომადგენელთა ეს ძირგამომთხრელი საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება განცხადებებს, რომლებიც მათ უკვე გააკეთეს ფორუმის ტრიბუნიდან. ამ განცხადებებში ამტკიცებდნენ, თითქოს ფორუმზე ირღვეოდეს დემოკრატია, ცდილობდნენ ვიღაცა „ჩაიჩუმონ“ და თითქოს „თავს ესხმოდნენ ჩინეთს“. ასეთ მტკიცებასთან ერთად ჩინეთის დელეგაცია მიმართავდა გამოხდომებს საბჭოთა ქვეყნისა და მისი ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

საჭიროდ არ მიგვაჩნია უარვყოთ მთელი ეს ცილისწამება, რადგან ფორუმის მონაწილეებმა კარგად იციან საქმის ნამდვილი ვითარება. რაც შეეხება გამოხდომებს საბჭოთა კავშირის, მისი პოლიტიკის წინააღმდეგ, სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტი უფლებას იტოვებს უპასუხოს ამ გამოხდომებს და თავის დროზე გამოაქვეყნოს შესაბამისი მასალები.

სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტი აცხადებს, რომ საბჭოთა დელეგაცია სხვა ქვეყნების დელეგაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ყოველ ღონეს იხმარს, რომ ფორუმმა შეასრულოს თავისი ამოცანა.

ᲓᲔ ᲓᲐᲣᲚᲘ ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐᲨᲘ

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესი). ვენესუელისა და საფრანგეთის პრეზიდენტები ადასტურებენ, რომ მათი ქვეყნები ცდილობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ნათქვამია რაღაც ლეონისა და დე გოლის ერთობლივ განცხადებაში, რომელიც ვენესუელაში საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა.

როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი კარაკასიდან იუწყება, კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ორივე პრეზიდენტმა განიხილა საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები, მათ შორის ფასების პრობლემები და ექსპორტის გაფართოების შესაძლებლობანი.

კომუნიკეში გამოთქმულია რწმენა, რომ დე გოლის ვიზიტი ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის თანამშრომლობის განმტკიცებას.



ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

„ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ“

დამასკო, 21 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ლ. მედვედკო გვაცნობინებს:

დღეს აქ დაიხურა დამასკოს მეთერთმეტე საერთაშორისო ბაზრობა. ამ დროს განმავლობაში სირიიდან, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან, ლიბანიდან, იორდანიიდან, საუდის არაბეთიდან და არაბთა სხვა სახელმწიფოებიდან ათი ათასობით კაცმა დაათვალიერა საბჭოთა პავილიონი. ბევრი დამთვალიერებელი უდიდეს აღტაცებას გამოთქვამს საბჭოთა კავშირის ტექნიკური პროგრესის გამო, კოსმოსის დაპყრობაში, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში წარმატებების გამო.

„პრობრესი, რომელსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია კოსმოსის დაპყრობის საქმეში, მთელი კაცობრიობის გამარჯვებაა სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნაში“,—წერს დამთვალიერებელი სალიმ უენე.

„დიდი მადლობა სსრ კავშირს, რომ მშვიდობას ემსახურება“, — ჩაწერა აფრამ საიდმა.

„მადლობა სსრ კავშირს დახმარებისათვის, რომელიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას გაუწია ასუანის კაშხალის მშენებლობაში“ — ხელს აწერს ჰუსეინ ფ.

„საბჭოთა პავილიონი, — წერს ჰეიკალ ჰუსეინ აზიზი, — თვალნათლივ მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიოს უყველაზე ძლიერი სახელმწიფოა და ამ ძალას იყენებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განსამტკიცებლად“.

ჩანაწერებში არის დამთვალიერებელთა აზრები თანამედროვეობის უყველაზე მწვავე საკითხებზე, რომლებიც შეეხება მშვიდობის განმტკიცებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, სოციალისტური ბანაკისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებას.

„ჩვენ მადლობას ვუხდით საბჭოთა ხალხს, წერს აბუგანი, — მთელ მსოფლიოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მხარდაჭერისათვის, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შემდეგ ლენინური პოლიტიკის შედეგად. რომელსაც კომუნიზმისათვის ერთგული მებრძოლი ნ. ს. ხრუშჩოვი ახორციელებს. ჩვენ მხურვალედ გვსურს კომუნისტურ მოძრაობაში უთანხმოების სწრაფად შეწყვეტა. ნამდვილი ლენინიზმის პოლიტიკამ უნდა გაიმარჯვოს. სირცხვილი ჩინელ გამთიშველებს! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მიდის! გაუმარჯოს ნიკიტა ხრუშჩოვს, კომუნიზმისათვის ერთგულ მებრძოლს!“.

სირიელი მუშა მუჰამადი გამოხატავს ბევრი სირიელი პატიოსანი ადამიანის გრძნობებს, რომლებიც აღფოთებული არიან ჩინელი გამთიშველების საქმიანობით, რომლებიც ცდილობდნენ დამასკოს ბაზრობაზე თავიანთი პავილიონიც კი ანტისაბჭოთა პროპაგანდის წარმატებისათვის გამოეყენებინათ. მუჰამადი წერს: — ჩინელი ხელმძღვანელები ცდილობენ გათიშონ სოციალიზმის ბანაკი. სირიელი მშრომელების სახელით, რომლებისთვისაც ძვირფასია მუშათა კლასის ერთობა და სოციალიზმის საქმე, სამარცხვინო ბოძზე ვაკრავ ჩინელ გამთიშველებს და გულისწურომით პროტესტს ვაცხადებ მათი ჭუკუიანი საქმიანობის წინააღმდეგ. ამავე დროს ჩვენ მხურვალედ ვუპერთ მხარს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელსაც მეთაურობს კომუნიზმისათვის პირველი მებრძოლი ხრუშჩოვი“.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ

ბერლინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბერლინში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, სადაც ახვეულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ოტო გროტეოლის ცხედარი, გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგზე გამოვიდნენ: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მ. რაიშანი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რენე პიკე.

სამგლოვიარო მიტინგის დამთავრების შემდეგ ოტო გროტეოლის ცხედარი გამოასვენეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობიდან და დასვენეს ქვემოსის ლაფეტზე. სამგლოვიარო კორტეჟი მიემართება ქალაქის კრემატორიუმისაკენ. კრემატორიუმთან კუბო კვარცხლბეკზე დადგეს. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფ. ებერტი ამბობს მოკლე გამოსათხოვარ სიტყვას, ყღერს პროლეტარული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ მელოდია.

ᲝᲢᲝ ᲒᲠᲝᲢᲔᲕᲝᲚᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲥᲘᲛᲐᲠᲘ

ბერლინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წერილში, რომელსაც ხელს აწერს გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მაქს რაიმანი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი სამძიმარი გამოუცხადა ამხანაგ ოტო გროტეოლის გარდაცვალების გამო, იუწყება ადნ-ის საგენტო.

ოტო გროტეოლმა, აღნიშნულია წერილში, 1945 წლის შემდეგ ვილჰელმ პიკთან, ვალტერ ულბრიხტთან და ფრიდრიხ ებერტთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა იმ საქმეში, რომ უზრუნველეყო მუშათა მოძრაობის ერთობა აღმოსავლეთ გერმანიაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის კომპარტიის რევოლუციურ საფუძველზე გაერთიანების გზით. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაერთიანებულმა მუშათა კლასმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით და გლეხთასთან და მთელ მშრომელთანან კავშირით შექმნა პირველი მშვიდობიანი გერმანული სახელმწიფო, რომელიც მთელი გერმანიის სოციალისტური მომავლის საფუძველია.

წერილში აღნიშნულია ოტო გროტეოლის ისტორიული დამსახურება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის კომპარტიის გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიად გაერთიანებისათვის ბრძოლაში, მუშათა და გლეხთა პირველი გერმანული სახელმწიფოს დაარსებისათვის და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლაში, საბჭოთა კავშირთან ურღვევი მეგობრობისა და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკისათვის ბრძოლაში.

ოტო გროტეოლი კვლავაც იცოცხლებს როგორც ნიშუში ბრძოლისა, რომელსაც ჩვენი პარტია აწარმოებს ფედერაციულ რესპუბლიკაში მუშათა კლასის მოქმედების ერთობის დამყარებისათვის, გერმანიის იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, ხაზგასმულია წერილში.

ᲝᲢᲝ ᲒᲠᲝᲢᲔᲕᲝᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გერმანიის მოძმე ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობამ, მთელი გერმანიის მშრომელებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს: გარდაიცვალა გერმანელი ხალხის ერთგული შვილი, გამორჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ოტო გროტეოლი.

ამხანაგი გროტეოლი დაიბადა 1894 წლის 11 მარტს ქალაქ ბრაუნშვაიგში, მუშის ოჯახში. სახალხო სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო შრომითი საქმიანობა, აირჩია მბეჭდაფის პროფესია.

ო. გროტეოლი ადრე ეზიარა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას, 1908 წელს იგი შევიდა სოციალისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციაში, ხოლო 18 წლისა გახდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. უკვე პარტიაში მუშაობის პირველ წლებში გამოვლინდა ო. გროტეოლის როგორც პუბლიცისტისა და ორატორის განსაკუთრებული ნიჭი.

პირველი მსოფლიო ომის დროს ოტო გროტეოლი მოქმედ არმიაში იყო და ფრანგეთში გადაკოთი გმობდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერთა გადაცემლურ პოლიტიკას, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს გერმანელ მილიტარისტების ტარიტთა დამპყრობლურ გეგმებს. როცა გერმანიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამ იფეთქა, გერმანიის ბევრ ადგილას „სპარტაკის კავშირის“ მოწოდებით იქმნებოდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. ო. გროტეოლი არჩეული იყო ასეთი საბჭოს თავმჯდომარედ გერმანია-ჰოლანდიის საზღვარზე, ხოლო შემდეგ ბრაუნშვაიგის საბჭოს წევრად.

უკვე 20-იანი წლების დამდეგისათვის ო. გროტეოლმა თავისი აქტიური ბრძოლით მშრომელთა საარსებო უფლებებისა და ინტერესებისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა დიდი ხდობა მოიპოვა, გახდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტიანი და პატივცემული მოღვაწე. 1920 წელს ო. გროტეოლი, რომელიც მაშინ საავადმყოფოს სალაროს მოსამსახურე იყო, აირჩიეს ბრაუნშვაიგის მხარის ლანდტაგის დეპუტატად, ხოლო 1923 წელს შედიოდა ბრაუნშვაიგის მხარის მთავრობაში მინისტრად. შემდეგ მუშაობდა სამხარეო სადაზღვეევო სახოგადოების პრეზიდენტის პოსტზე. 1925 წლიდან ფაშისტური დიქტატურის დამყარებამდე ო. გროტეოლი გერმანიის რაიხსტაგის დეპუტატი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრაუნშვაიგის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო.

როცა გერმანიაში ფაშიზმის საფრთხე შეიქმნა, ამხანაგი გროტეოლი უყოყმანოდ ჩაება ხალხის პატრიოტული ძალების აქტიურ ბრძოლაში ამ საფრთხის წინააღმდეგ. როცა ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ჰიტლერელები, იგი ჩამოშორეს ყველა პოსტს და არალეგალური მუშაობა დაიწყო, განაგრძობდა ანტიფაშისტურ ბრძოლას კომუნისტებთან და წინააღმდეგობის არალეგალური მოძრაობის სხვა მონაწილეებთან ერთად. რამდენჯერმე დააპატიმრეს გესტაპოელებმა და ბოლოდ წაუყენეს „სახელმწიფო ღალატი“.

ოტო გროტეოლი, რომელიც ჰიტლერიზმის განადგურების შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ფოლკსფრაინდ“-ს ხელმძღვანელობდა, ვილჰელმ პიკთან და ვალტერ ულბრიხტთან ერთად სათავეში ჩაუდგა ბრძოლას გერმანიის მთელი პოლიტიკური ძალების შეკავშირებისათვის მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის დროშით, სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების დაახლოებისა და ერთობისათვის.

იმაში, რომ გერმანიის კ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

სიმპოზიუმი

ტალღათა დიფრაქციის საკითხებზე

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება მესამე საკავშირო სიმპოზიუმი, რომელიც ტალღათა დიფრაქციის თეორიის ზოგიერთ სინტეზურსო და მნიშვნელოვან საკითხს და მათ სხვადასხვა გამოყენებას ეძღვნება.

ტალღათა გავრცელების კანონების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველებისათვის, განსაკუთრებით ფიზიკის და ტექნიკის მთელ რიგ დარგებში. ტალღათა გავრცელება, წარმოადგენს სხვადასხვა ფიზიკურ პარემაში იმ შეშფოთებათა გავრცელებას, რომლებიც წარმოშობილია გარემოს მდგომარეობის ცვლილებით (ძვრით, დარტყმით, აფეთქებით, ან სხვა რაიმე მიზეზით).

ცნობილია მრავალი სახის ტალღა: დრეკადი ტალღები, რომლებიც წარმოიშობიან მყარ დრეკად ტაში გარე ძალების გავლენით გამოწვეული დეფორმაციებით; სეისმური ტალღები — დედამიწის ქერქში მიწისძვრის შედეგად; მოქცევითი და მიქცევითი ტალღები, რომლებიც ჩნდებიან ზღვებში და ოკეანეებში მთვარისა და მზის მიმზიდველობით; ბგერითი ტალღები; ულტრაბგერითი ტალღები, რომელნიც მნიშვნელოვან გამოყენებას ტოქსიკოლოგიაში და წყალქვეშა სიგნალიზაციაში (თუმცა ამ ბგერების მოსმენა შეუიარაღებელი ყურით არ შეიძლება); ელექტრომაგნიტური ტალღები და მათი ნაირსახეობა (რადიოტალღები, სინათლის სხივი, რენტგენის სხივები და სხვ.). კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით ყოველი მიკროსკოპული ობიექტი აუცილებლად ტალღური ბუნებისაა.

ყველა ეს ტალღა გავრცელების დროს შეიძლება წაწყდეს რაიმე დაბრკოლებას, რომელსაც ის შემოუვლის. სწორედ ამ მოვლენას ეწოდება ტალღის დიფრაქცია.

ტალღათა დიფრაქციის თეორიის ძირითადი საკითხები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც გარკვეული მათემატიკური ამოცანები. მაგრამ ეს ამოცანები იმდენად რთულია, რომ ზოგად შემთხვევებში დღეისაც არ არის ამოხსნილი.

მესამე საკავშირო სიმპოზიუმი თბილისში რომ ეწყობა და მისი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. კუპრაძე, ეს ფაქტი მოწმობს, თუ რამდენ ფართოდ არის ცნობილი ქართული მათემატიკური სკოლა და ის მნიშვნელოვანი შედეგები, რაც მიღებული აქვთ. გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერებს აკადემიკოსებს ნ. მუსხელიშვილს, ვ. კუპრაძეს, ი. ვეკუას და სხვებს, მათემატიკური ფიზიკის დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში.

სიმპოზიუმზე მოსმენილ იქნება მოხსენებანი ტალღათა დიფრაქციის თეორიაში საბჭოთა მეცნიერთა მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულ მიღწევებზე. მნიშვნელოვან თეორიულ და გამოყენებითი ხასიათის საკითხებზე მოხსენებით გამოვლენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები: ლ. ვაინშტეინი, ს. ვოიტი, ს. მაკაროვი, ბ. მალიუჟინეცი, ვ. მარჩენკო, მ. მილეო, გ. პეტრაშენი, ს. რატოვი, ა. სვეშნიკოვი, ლ. სრეტენსკი, ა. ტიხონოვი, ი. ფელდი, ა. ფილიპოვი და სხვები.

სიმპოზიუმზე მოსმენილ იქნება აგრეთვე ქართველ მეცნიერთა მოხსენებები. მათში ასახიფოდ ისახება ქართული მათემატიკური სკოლის წარმომადგენლების აკადემიკოს ვ. კუპრაძის, აკადემიკოს ი. ვეკუას, პროფესორ დ. ავაზაშვილისა და სხვების ის სერიოზული ნაღლიი, რომელიც მათ დიფრაქციის მათემატიკურ თეორიაში შეიტანეს.

აკადემიკოსმა ვ. კუპრაძემ ჯერ კიდევ 1935 წელს თავის სადოქტორო დისერტაციაში პოტენციალთა თეორიის და ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდით პირველად გამოიკვლია ტალღათა რხევის სასაზღვრო ამოცანები უსასრულო არეებში და მოგვცა მათემატიკური დამტკიცება გამოსხივების პრინციპისა, რომელიც 1912 წელს ზომერფელდის მიერ დაუმტკიცებლად იყო ჩამოყალიბებული. მასვე ეკუთვნის ელექტრომაგნიტურ ტალღათა დიფრაქციის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნათა არსებობის თეორემების დამტკიცება.

უკანასკნელ წლებში ვ. კუპრაძის მიერ აღმოჩენილია მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელიც ეყრდნობა პოტენციალების და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიებს და საშუალებას იძლევა ვიპოვნოთ ელექტრომაგნიტურ ტალღათა დიფრაქციის ძირითადი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნათა აკადემიკოს ი. ვეკუას მიერ მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები ზოგადი სახის მეტაკარმონიულ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანების თეორიაში, რომელთაც საინტერესო გამოყენება აქვთ დიფრაქციის საკითხებში.

ელექტრომაგნიტური რხევის დიფრაქციის განზოგადებულ სასაზღვრო ამოცანებთან დაკავშირებით პროფესორ დ. ავაზაშვილის მიერ მიღებული საინტერესო შედეგები. სიმპოზიუმზე მისი მოხსენება მიეძღვნება აკუსტიკური ტალღის დიფრაქციის საკითხს.

საკავშირო სიმპოზიუმზე მოსმენილ იქნება აგრეთვე მოხსენებანი: ი. ივეკოსა და ვ. კოპალეიშვილის „ცილინდრის გაბნევის კვეთის ეფექტური განივკვეთი ფრენელისეული დიფრაქციის ზონაში", გ. ქვეკანშვილისა — „დიფრაქცია გისოსებზე" და ლ. მაღნარაძის „ზომერფელდის გამოსხივების პრინციპის ზოგიერთი განზოგადების შესახებ".

სიმპოზიუმი 30 სექტემბრამდე გაგრძელდება.

პროფესორი,
ლ. მაღნარაძე.

ისვენებენ, იკაჭებენ ჯანმრთელობას

ვრცელია ჩვენი ქვეყანა. ციმბირში უკვე თოვს. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე კი თბილი დღეებია, ხოლო ზოგჯერ კიდევაც ცხელა. აფხაზეთში გაჩაღებულია საკურორტო სეზონი. შავი ზღვა წყნარია როგორც ზაფხულში. აქ საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან ყოველდღე ათასობით ადამიანი ჩამოდის, რომ კარგად დაისვენოს და ჯანმრთელობა გაიკაჟოს. ეს სურათი გაგრაში გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გინზბურგმა.

იაკუტიიდან ჩამოსული ეს ტურისტები ჯერ კიდევ ორი დღის წინათ პირველ თოვლზე სეირნობდნენ. აქ კი, გაგრაში, თვალსა სჭირთ მოელვარე ზღვა და მზით განათებული ხეივნები.



არაგები ისწავლიან რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). გუშინ რუსთავში იემენიდან ჩამოვიდა არაბი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი, რომლებიც აქ ერთ წელს დაჰყოფენ. ამ ხნის მანძილზე ისინი შეისწავლიან ტრაქტორისტების, მელითონეების დირიგატორების სპეციალობებს. თეორიულ მეცადინეობას არაბები რუსთავის № 3 პროფტექნიკურ სასწავლებელში გაივლიან, ხოლო პრაქტიკულ ცოდნას გარდაბნის № 10 სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიიღებენ.

აღნიშნული სკოლები მომზადებული შეხვდნენ არაბი ახალგაზრდების ჩამოსვლას. მათთვის შერჩეული არიან სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მაღალკვალიფიციური პედაგოგები.

• ჩვენი სტუმრები •

სიტირო მაცუმოტო: „დაე მტკიცდებოდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა"

საქართველოში სტუმრად არის „იაპონია-სსრ კავშირის" საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, პარლამენტის დეპუტატი იაპონიის სოციალისტური პარტიისაგან (წარმომადგენელთა პალატა) სიტირო შაცუმოტო მეუღლითურთ. ისინი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ „სსრ კავშირ-იაპონიის" საზოგადოების მოწვევით.

22 სექტემბერს სიტირო მაცუმოტო და მისი მეუღლე მიიღო საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გიგოშვილმა. მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის ისტორიული წარსული და აწყო, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, მეცნიერთა საქმიანობა.

იაპონელმა სტუმრებმა მადლობა გადუხადეს მინისტრს საქართველოს მესახებ საფუძვლიანი ნაამბობისათვის.

— საქართველო პოპულარული გახდა იაპონიაში, — განაცხადა სიტირო მაცუმოტომ.—ყველა იაპონელი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოდიან, ეწვევა ხოლმე საქართველოს. ჩვენ ქვეყანაში საქართველოზე აღტაცებით ლაპარაკობენ.

საქდეყის კორესპონდენტმა სთხოვა სიტირო მაცუმოტოს გაეზიარებინა საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებანი. მან თქვა:

— საქართველოს რესპუბლიკაში გაგვიწევს გულთბილი და გულითადი მიღება. სტუმართმოყვარეობით თქვენი ხალხი აღმოსავლეთს მაგონებს და ეს სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ გავიგეთ, როცა შევიტყვეთ, რომ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში განათლების ცენზით, ექვემდ რაოდენობით. საქართველოს, მისი ხალხის გაცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეგობრული ურთიერთობის, ურთიერთგაგების გაფართოებისათვის.

საუბრის დასასრულს სიტირო მაცუმოტომ ქართველ ხალხს დიდი წარმატებები უსურვა შრომაში და გამოთქვა სურვილი, რომ მეგობრო კულტურული ურთიერთობა დაამყაროს იაპონელ ხალხთან.

— სულითა და გულით, — თქვა მან, — გისურვებთ მშვიდობასა და ბედნიერებას. ერთად უნდა ვეცადოთ, რომ ხიროსიმის ტრაგედია არ განმეორდეს.

იაპონელმა სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები, ეწვივნენ შამანური ღვინის ქარხანას, რესპუბლიკის ახალგაზრდა ინდუსტრიულ ცენტრს — რუსთავს, სადაც დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხანა.

24 სექტემბერს სიტირო მაცუმოტო და მისი მეუღლე მოსკოვში გაფრინდებიან.

(საქდესი).

„სინათლის" კონცერტი

ქართული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი „სინათლე" ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც გახდა ცნობილი. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს კლუბის ეკ კოლექტივი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სამი საერთაშორისო ფესტივალის: მოსკოვის, ვენისა და ჰელსინკის ფესტივალების ლაურეატი, თვითმოქმედი მსახიობები წარმატებით გამოდიოდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბელგიაში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში.

მოსკოველები უკანასკნელ ხანს „სინათლის" მხოლოდ ცალკეულ ნომრებს ნახულობდნენ ხოლმე სადღესასწაულო პროგრამებში. ეი რატომ იყო, რომ კოლექტივის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის მაყურებლებში. და უნდა ითქვას, რომ სტუმრებმა გაამართლეს მოსკოველთა იმედი, გაამართლეს ანსამბლის სახელწოდებაც. გვიჩვენეს ხალისიანი, ნამდვილად ნათელი ხელოვნება.

კონცერტი, რომელიც კრემლის თეატრში გაიმართა, დაიწყო კომპოზიტორ რ. ლაღიძის სიმღერით „სამშობლო გვიყვარს". გუნდი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ქარსელაძის ხელმძღვანელობით მას უკომპანეტენტოდ ასრულებდა. მსმენელნი მიიზიდა ნაწარმოების ინტონაციური ჟღერადობის სიწმინდემ, ფილიგრანულმა დამუშავებამ. გუნდის რეპერტუარში ბევრი ხალხური სიმღერაა. უნდა ითქვას, რომ გუნდი ჩათ უფრო წარმატებით ასრულებს, ვიდრე თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

ვინც „სინათლეს" კონცერტებზე ყოფილა, ეთქვათ, რამდენიმე წლის წინათ, ის აქ დღეს ბევრ სიახლეს შეხვდება არა მარტო რეპერტუარში. უკანასკნელ ხანს კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის ინიციატივით კოლექტივში შეიქმნა კამერული, ვოკალური ანსამბლები. კვარტეტმა, რომელშიც შედიან საგზაო ოსტატი ა. დოკვაძე, ტრამვაის დეპოს მუშაკები შ. ბადურაშვილი და ქ. კაპანაძე, მბეჭდავი მემბაღქანე ნ. ტოკოხიძე, განსაკუთრებით გულში ჩამწედომად შეასრულა მისი ლირიკული სიმღერები „განთიადი" და „მერი".

განსაკუთრებული წარმატება ხვდა მოცეკვავეთა კოლექტივს. კონცერტის ქორეოგრაფიული ნომრები ოსტატობით, უშუალობითა და გატაცებით გამოირჩევა. შეყვარებულთა ლირიკული ცეკვის „ნადარბაზოს", ცეცხლოვანი „ფარიკაობისა" და, დასასრულ, ხალისიანი ხალხური ცეკვის „ხალხინოს" ნახატი თითქოს თავისთავად იბადება, თითქოს თვალისმომჭრელ კალეიდოსკოპში წარმოიშობა და იცვლება. ყოველივე ეს ბაფი, ჯაერიან სანახაობას ქმნის.

ანსამბლ „სინათლეში" ეხერხებათ იპოვონ ნიჭიერი ადამიანები, განავითარონ მათი უნარი. ამაში დამსახურება მიუძღვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტს გ. დარასველიძეს. მან „აღმოაჩინა" ინჟინერი ბაღრი ანთაძე. ახალგაზრდა ოსტატი მოკლე ხანში ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი მოანაწილე გახდა. ანდა მისი ამხანაგები — ოსტატი რევაზ ჯოხონელიძე და ტროლეიბუსის პარკის მუშა გურამ ვარდოსანიძე. რა მსუბუქად და ვირტუოზულად ასრულებენ ისინი აჭარულ ცეკვა „განდაგანს"! ყოველივე ეს დიდი შრომის, განუწყვეტელი ძიებისა და მხატვრული ხელმძღვანელის მომთხოვნელობის შედეგია.

ა. ოსიპოვი.
„სოვეტსკაია კულტურა",
22 სექტემბერი.

მათთვის, ვინც გზაშია

1 ოქტომბრიდან ძალაში შევა რკინიგზის ახალი წესდება.

უმეტესმა საკურიერო მატარებლების კატეგორია. რჩება მარტო სამგზავრო და სწრაფი მატარებლები. მატარებლების მოძრაობის სისწრაფე არ მცირდება, ხოლო წინანდელი საკურიერო მატარებლების ბილეთების ღირებულება ნაკლები იქნება. მაგალითად: მოსკოვ-ლენინგრადის დღის ექსპრესის მგზავრი ახლა ბილეთში იხდის 8 მანეთსა და 80 კაპიკს, ოქტომბრიდან კი. იგივე მატარებელთან ეღირება 7 მანეთი და 90 კაპიკი; 3 მანეთით და 20 კაპიკით გაიაფდება მგზავრობა მოსკოვ-კიევის № 1 სასწრაფო მატარებლის კუპირებულ ვაგონში.

ახლა მგზავრს ერთი ბილეთით შეუძლია ჩაბარის არა უმეტეს 75 კილოგრამი ბარგი ჩვეულებრივი გადახდით. ყველაფრისათვის, რაც ამ წონას აღემატება, იხდის ორმაგად. ახალი წესდებით მგზავრს საკვირთო ვაგონში შეუძლია გადაიტანოს ნებისმიერი წონის საგნები, რისთვისაც გადაიხდის ჩვეულებრივი ტარიფით.

სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებსა და სახელოსნო სასწავლებელთა მოსწავლეებს ეძლევათ შეღავათი. 1 ნოემბრიდან 30 აპრილამდე ისინი ბილეთში გადაიხდიან ღირებულების ნახევარს. ასეთივე უფლებები ეძლევათ ნორმ მგზავრებს, რომლებიც მოგზაურობენ „თანამგზავრის" საგზურებით. 30 პროცენტი გაიაფდება ბილეთები იმათთვისაც, ვინც 1 ნოემბრიდან 30 აპრილამდე მოგზაურობენ სპეციალური ტურისტული მატარებლებით.

გახანგრძლივებულია საგარეუბნო ბილეთების ვარგისიანობის ვადა. ისინი ძალაშია მთელ დღეს და არა შემჭნის მომენტიდან სამი საათის განმავლობაში. შემოღებულია ეგრეთწოდებული „დასვენების დღის" სახელდებითი საგარეუბნო საბობინმენტო ბილეთები. ამ ბილეთებით შეიძლება მგზავრობა შაბათს, კვირასა და ორშაბათს.

გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებიც სარგებლობენ ბილეთების ურიგოდ აღების უფლებით. ესენი არიან მგზავრები, რომლებსაც ახლავთ ბავშვები 10 წლამდე და ისინი, ვინც მიემგზავრება სასწრაფო გამოძახებითი, მაგალითად, მახლობელი ადამიანის ავადმყოფობასთან დაკავშირებით.

ახალი წესდებით მგზავრს შეუძლია ბილეთი სალაროში შეიძინოს ნებისმიერი რაოდენობით. (საკდესი).

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

პრეზიდენტთა ტურნირზე

სოხუმი. 23 სექტემბერი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). **დღეს აქ, მე-11 ტურში უურადღების ცენტრში** იყო ლიდერების ტ. ზატულოვსკაია — მ. ლაზარევიჩის ორთაბრძოლა. პარტიამ თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. ბაკოლმა ლაზარევ „შეწირა ეული კუში და მძლავრი იერიში წამოიწყო, მაგრამ სასტიკ ცაინტოტში მან ორჯერ გაუშვა ხელიდან მოგება. პარტია გადაიდო მეტად მწვავე პოზიციაში.

კ. ივანოვიჩმა მოუგო ე. ბიკოვას, კ. ერეტოვამ — ა. ივანოვას, მ. თეოდორესკუმ — ს. მოსჩინის, მ. რანიკუმ — ტ. ცენდს, ა. კუშნირმა — გ. ბრესერს.

11 ტურის შემდეგ მ. ლაზარევიჩს 8 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს კ. ერეტოვას — 7,5, ა. კუშნირს — 7 ქულა და ერთი გადადებული, ტ. ზატულოვსკაიას 6,5 და სამი გადადებული.

თ. გიორგაძე.

გადამწყვეტი ბრძოლების წინ

მოსკოვი. 23 სექტემბერი. (ტელეფონით, საეც. კორ.). ხვალ მოსკოვში იწყება ხელბურთში საბჭოთა კავშირის მესამე ჩემპიონატის დასკვნითი ტური. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა ხელბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარეს **ვ. რაიტინს** და სთხოვა რამდენიმე სიტყვა ეთქვა მომავალი ჩემპიონატის შესახებ. აი რა თქვა მან.

— ხელბურთში ასეთი დიდი ასპარეზობა მოსკოვში პირველად ტარდება. სწორედ ამიტომ ინტერესი ჩემპიონატისადმი დიდია.

სატურნირო ცხრილში ამჟამად პირველ ადგილზე ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" და თბილისის „ბურევესტნიკი" არიან. მათ მოგროვილი აქვთ ქულათა მაქსიმალური რიცხვი ერთმანეთს — 10. შვიდი ქულა აქვთ 1962 წლის ჩემპიონს ყაუნასის „ატლეტასს", კიევის „ბურევესტნიკს" და მოსკოვის „ტორპედოს". მაგრამ ეს სამქულიანი სხვაობა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ოქროს მედლებისათვის მარტო თბილისელი და ზაპოროჟიელი ხელბურთელები იბრძოლებენ. გუნდებს ხომ კიდევ ექვს-ექვსი მატჩი, აქვთ ჩასასრულებელი.

„კომუნისტის" მკითხველებს ალბათ ინტერესებთ, თუ ვინ იყვნენ დასკვნით ტურში თბილისელების მეტოქეები. ესენი არიან: 24 სექტემბერს — კიევის „ბურევესტნიკი", 25 სექტემბერს — ტბილისის „ბურევესტნიკი", 26 სექტემბერს — ყაუნასის „ატლეტასი", 27 სექტემბერს — მინსკის „ბურევესტნიკი", 29 სექტემბერს ვილნიუსის „გელდბეტონისი", და 30 სექტემბერს — ზაპოროჟიელ „ალუმინსტროი".

ნ. ფოფხაძე.

ევროპის ნაკრები — იუგოსლავია

გუშინ ბელგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. ევროპის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდნენ საბჭოთა ფეხბურთელები, მოსკოვის „დინამოს" მეკარე ლ. იაშინი და „ტორპედოს" ნახევარმცველი ვ. ვორონინი.

მიუხედავად წვიმისა ორთაბრძოლა მეტად საინტერესო გამოდგა. უპირატესობა კონტინენტის ნაკრების მხარეზე იყო და მათივე გამარჯვებით ანგარიშით 7:2 დამთავრდა.

აღსანიშნავია სახელგანთქმული მეკარის ლ. იაშინისა და პორტუგალიელი ეუსებიოს ბრწყინვალე თამაში. პირველმა ამ მატჩში კოსტიჩის თერმომეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოიგერია, მეორემ კი ოთხი ბურთი გაიტანა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ გეოლოგიური სანახაურის ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ სკკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამბ. ბორის ივანეს-ძე გუჯეჯიანი დაინიშნა საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარედ.

გ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი

1964-65 წ. წ. სეზონში თეატრი უშვებს რამოდენიმე სერიის აბონემენტებს

ნომინალური ღირებულებიდან 10 პროცენტის დაკლებით
თვითეულ აბონემენტში 10 სპექტაკლია

1. **აბონემენტში** შედის ექვსი საოპერო და ოთხი საბალეტო სპექტაკლი.
2. **ყოველ აბონემენტზე** ნაჩვენები იქნება ახალი დადგმები — ორი საოპერო და ერთი საბალეტო სპექტაკლი.
3. **აბონემენტის თვითეული** მფლობელი ხახავს ორ სპექტაკლს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.
4. **თვითეული აბონემენტის** ფასი ყველა 10 სპექტაკლზე 2 მან. და 70 კაპიკიდან 13 მან. და 50 კაპიკამდე.

სეზონის ახალი დადგმები:

საოპერო სპექტაკლები:
ზ. ფალიაშვილი — აბესალომ და ეთერი
შ. გუნო — ფაუსტი და ვალპურგის ღამე
მ. მუსორგსკი — ბორის გოდუნოვი
ა. მოცარტი — დონ-ჟუანი

საბალეტო სპექტაკლები:
ა. ბალანჩივაძე — მწირი
გ. კილაძე — სინათლე

კაპიტალურად აღდგენილი იქნება:
პ. ჩაიკოვსკის — პიკის ქალი და იოლანთა

სეზონის განმავლობაში სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები: **პატარა ბაბუკიანი, მაია პლისეცკაია, რაისა სტრუჩკოვა,** რსფსრ სახალხო არტისტები **გალინა ვიშნევსკაია, ირინა არხიპოვა, ბორის ბრეგვაძე,** საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ზურაბ ანჯაფარიძე,** საზღვარგარეთის გამოჩენილი მსახიობები: **ზენაიდა პალი, ელენე ჩერნეი, ნიკოლაი ხერლია, ლადისლავ კოლია, იონ პისო, ეოზეფ ზიმანდი** და სხვები.

აბონემენტებს გაყიდავ წარმოებს თეატრის სალაროებში და თეატრის რწმენებულების მეშვეობით.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ საშემოდგომო სახელმწიფო გამოცდები იწარმოებს ა. წ. 1-დან 31 ოქტომბრამდე.

განცხადებები სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ მიიღება 28 სექტემბრამდე. გამოცდების ჩაბარების უფლება აქვთ დღისა და დაუსწრებელი განყოფილების იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც 1961, 1962, 1963 და 1964 წლებში ჩააბარეს სსსწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი.

გამოცდებზე განმეორებით გასვლის მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ დადებითი დახასიათება სამუშაო ადგილიდან.

რექტორატი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები
24 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ბრალდება (დასაწყისი საღ. 8 ს.), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჯარისკაცის ქმრიგი (მე-14 აბონ. მე-8 წარმოდგენა, საღ. 7 ს. და 30 წ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სათაგური (აბონ. № 33, საღ. 6 ს. და 30 წ.).

ტელევიზია
25 სექტემბერი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ფერია, რომელიც სხვებს არა ჰგავს", 19.05 — გადაცემა ცაკლიდან — „ლახტის წრეში", 19.25 — განცხადებები, 19.30 — სატელევიზიო ჟურნალი „ჯანმრთელობა", 20.00 — კინონარკვევი „ბედნიერების მისამართი", 20.10 — სატელევიზიო ნარკვევი „ხომალდის დაბადება", 20.30 — გადაცემა — „კვლავ საოპერო სცენაზე". — მარიო დელ მონაკო, 21.00 — მხატვრული ფილმი „ტანჯვის გზებზე" (III სერია — „მოღრუბლული დილა"), 22.45 — ახალი ამბები.

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული სიმღერები, 08.30 — საოპერო მუსიკის კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 09.15 — ო. გორდელი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 11.15 — კონცერტი-საუბარი — „ქართული ინსტრუმენტული კონცერტი" (გადაცემა მეორე), 12.15 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.20 — ნაწყვეტები მოცარტის ოპერებიდან „სერალიდან მოტაცება", 17.15 — მუსიკალური ლექსიკონი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — შოპენის მაზურკები, 19.30 — საუბარი — „თანამედროვე მშენებლობის ინდუსტრიული საფუძველი", 19.45 — ბ. სმეტანა. სიმფონიური პოემა „ვლტავა", 20.15 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!.., 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ნაწყვეტები ბ. ჩაიკოვსკის ოპერა „მაზეპადან", 21.30 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 23.30 — ო. თაქთაქიშვილი. სიმფონიური პოემა „მწირი".

რადიო
25 სექტემბერი

რედაქტორი
დ. მეფლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. **კომუტატორი:** 3-15 00-დან 09-მდე. **რედაქტორის მოადგილეების** — 9 93 03, 3-08-67, **პ/მგ** მდივნის — 9-72-80, **სამდივნოსი** — 3-46-10, **განყოფილებებისა:** **პარტიული** — 9 87 61, **პროპაგანდის** — 3 22 59, **მრეწველობის** — 3-20-43, **სოფლის მეურნეობის** — 3-32-46, **საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების** — 8-27 58, **ლიტერატურისა და ხელოვნების** — 3-35 01, **ინფორმაციის** — 3-16-90, **უცხოეთის** — დამ. 5-22, **წერილების** — 9-73-24, **ილუსტრაციის** — დამ. 5-76, **განცხადებების** — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფე 11350

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.